ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 4 (31)

26 თებერვალი, 1991

## 23 თებერვალს იშვა მსოფლიოში ყველაზე პირსისხლიანი არმია, რომელმაც დედამიწის ერთ მეექვსედზე ჯოჯოხეთური ყოფა დაამკვიდრა





ამ არმიის წყალობით გვებოძა 25 თებერვალი — ჩვენი უბედურების სათავე. არადა, ვაი ჩვენი ბრალი — იცით. დღესაც კი, რა სადღეგრძელო ისმევა ჩვენში?!





## ჩვენს წითელ ლობეს გაუმარჯოს!..







# ედუარდ შევარდნაძე — ეროვნული მოძრაობის კონსულტანტი?!

მიმდინარე წლის 9 თებერვალს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა წერილი „ედუარდ შევარდნაძე“, რომლის ავტორი თ. მირიანაშვილი ბატონ შევარდნაძეს ძირითადად დადებითად აფასებს და ქვემოთ, ტექსტში მიუთითებს, რომ „აცხადებენ მას არა მხოლოდ უთვალსაჩინოეს პოლიტიკოსად, არამედ, რაც მთავარია პროგრესულ და ნათელ პიროვნებად“. არ შეიძლება, აქვე არ აღვნიშნოთ, რომ იგივე პიროვნებები ასეთივე ეპითეტებით ამკობენ მიხეილ გორბაჩოვსაც, როგორ ფიქრობთ, დაეჯერებათ?

აქსიომად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველაზე უკეთ შევარდნაძეს ქართველები იცნობენ და მის შეფასებაშიც ყველაზე ობიექტურნიც არიან. ამიტომ, არც უნდა უკვირდეს ვინმეს მათ მიერ „სახელოვანი თანამემამულის“ არა მარტო უბრალოდ გაკენწვლა, არამედ მისი ცხოვრებისა და საქმიანობის უარყოფითად შეფასებაც.

შევარდნაძე პოლიტიკოსი არც ყოფილა და არცაა. მით უმეტეს, დიდი და გენიალური. იგი ტიპიური კარიერისტია და ავანტიურისტიც.

საქართველოში მისი ცხოვრება და საქმიანობა კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორი გულმოდგინებითა და ლიქვნით მიიწევდა იგი ზემოთ და საკუთარი ამბიციით ნაკარნახევი მიზნის მიღწევაში არავის და არაფერს ერიდებოდა.

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომელმაც „დიდი ასტრონომიული“ აღმოჩენა შეძლო ქართველი ერის სოციალური და პოლიტიკური განვითარების ისტორიაში, რომ თითქოს ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა, ხოლო ამ მზემ როგორ გაათბო საქართველო 70 წლის მანძილზე და განსაკუთრებით კი 1989 წლის 9 აპრილს, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ამ უკანასკნელი ტრაგედიის ერთ-ერთი ავტორთაგანი ხომ ბატონი ედუარდია. როგორ არ გავიხსენოთ აქვე ისიც, თუ როგორი დაჟინებითა და მიზანსწრაფვით ცდილობდა მასშტაბურად აღენიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავი. კიდევ კარგი, გარკვეული მიზეზების გამო, ასეთი მასშტაბურობა მას არ გამოუვიდა. საწყენია, რომ სტატიის ავტორს არ სურს გაიზიაროს ქართველი საზოგადოებრიობის ჯანსაღი აზრი შევარდნაძის პიროვნების შესახებ. მით უმეტეს, რომ კომპარტიის საქართველოს ორგანიზაციის სათავეში მისი ყოფნის პერიოდში ნეგატიურმა მოვლენებმა უმაღლეს დონეს მიაღწია, თუმცა, იგი თავს „ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის“ მებაირახტრედ თვლიდა.

შევარდნაძე ერთს ფიქრობდა, მეორეს ლაპარაკობდა და სრულიად სხვას აკეთებდა. და აკეთებდა ყველაფერს საკუთარი თავის განდიდებისა და დაახლოებულთა კეთილდღეობისათვის.

არასოდეს არ ყოფილა დამახინჯებული ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური სურათი ისე, როგორც შევარდნაძის დროს. გავიხსენოთ რა მანკიერების ფასად გადმოეცემოდა მას ყოველწლიურად საკავშირო გარდამავალი დროშები; რაც შემდგომში იმით დაგვირგვინდა, რომ მან და გ. მგელაძემ გმირის წოდებაც შეიძინეს.

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომელიც უკიდურესად დაჟინებით მოითხოვდა, რომ ქართული ენა რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ ყოფილიყო აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენად. მე, როგორც ამ საკითხთან იმდროინდელი თათბირების, პლენუმებისა თუ სესიის მონაწილეს, არ დამავიწყდება შევარდნაძის მკაცრი მითითება, რომ ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულება ლენინური აზროვნებით და მიდგომითაა ნაკარნახევი და პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ მასებში ამ ხაზის გასატარებლად. ასეც გატარდა ეს ხაზი რესპუბლიკის რაიონულ, საქალაქო და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ეს ხომ დოკუმენტურადაა გაფორმებული. ან იმ რისხვას რა დამავიწყებს, რაც მაშინ ჩვენ, ზოგიერთ ურჩს დაგვატეხა თავს. კიდევ კარგი, ქართველმა ხალხმა, მისმა ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ, იმ დროისათვის წარმოუდგენელი თავდადება გამოიჩინეს და მკერდით აეფარნენ ამ ვანდალური ღონისძიების განხორციელებას. იმ დროს, როცა ენის საკითხი იხილებოდა სესიაზე, მთავრობის სასახლის წინა მოედანი ახალგაზრდობას ეკავა, ხოლო სასახლის წინა ეზო შინაგანი ჯარის (ე. წ. მერვე პოლკის) ნაწილებს. აი, მაშინდელი სურათი! ეტყობა, სტატიის ავტორი ამ პერიპეტიებს არ იცნობს და სამწუხაროდ, შევარდნაძეს ლამის გმირად სახავს.

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომელმაც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ტრანსკავკასიის საუღელტეხილო გვირაბების მშენებლობის საკითხი დადებითად გადაჭრილიყო.

რის გატანას აპირებდა საქართველოდან? აბა, გაიხსენეთ ყბადაღებული მეცამეტე და ოცდამეთხუთმეტე საკავშირო დადგენილებები და ყველაფერი თავის სახელსა და ადგილს იპოვის. ისიც გამოჩნდება, თუ როგორ იბრძოდა ედუარდ შევარდნაძე ქართული სულის გადასარჩენად.

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომელმაც პარტიულ სარბიელზე გამოიყვანა ადრე უკვე კომპრომეტირებული ს. ხაბეიშვილი და ყოველ ღონეს ხმარობდა ამ საკუთარი ფავორიტის დასაწინაურებლად, არაფრად არ თვლიდა ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს მის შესახებ. მარტო ხაბეიშვილი? რამდენი იმისთანა ჰყავდა მას შემოკრებილი!

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომელმაც დაახვრეტინა 26 კომისრის რაიაღმასკომის თავმჯდომარე არა როგორც მექრთამე (ეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გახმიანდა), არამედ, როგორც მისთვის არასასურველი ინფორმაციის წყარო. ვინმემ თუ გამოიკვლია, რატომ მივიდნენ თვითმკვლელობამდე მისი მძღოლი და ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი?

შევარდნაძე ის „შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია“, რომელმაც არაფერი არ დაიშურა ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა დასჯა-დაპატიმრებისათვის. იქნებ პოლიტიკოსობა იმაში გამოიხატება, რომ ამ მოძრაობის ლიდერს ბატონ ზვიად გამსახურდიას 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებისა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა?!

შევარდნაძე ის „პოლიტიკოსია“, რომლის ინიციატივით თბილისში ერთი საკავშირო მნიშვნელობის პარტიული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ჩატარდა ერთა და ეროვნებათა შერწყმა-შეზრდის პროპაგანდის ნიშნით და საქართველოს ასეთი პროცესების ცოცხალ ლაბორატორიასაც კი უწოდებდა.

„პოლიტიკოს“ შევარდნაძეს ერთი განსაკუთრებული ცოდვა აწევს. ეს არის მისი პირადი უარყოფითი თვისებებით გამოწვეული [illegible]. იგი ორგანულად ვერ იტანდა ბევრ ნიჭიერ და პატიოსან ადამიანს, მით უმეტეს, თუ იერარქიის გარკვეულ საფეხურზე იმყოფებოდნენ. უფრო მეტიც, მტრობდა მათ და რეპრესიებსაც არ აკლებდა! ამ გარემოებამ საზოგადოების გარკვეულ ფენებში დაპირისპირებულობის ატმოსფერო შექმნა. შევარდნაძე და მისი მაამებლები პრინციპულად დაუპირისპირდნენ დანარჩენებს — ქართველი ქართველს გადაკიდეს.

რა გააკეთა შევარდნაძემ საქართველოსთვის?

ჩვენში ალბათ არ მოიძებნება პიროვნება, რომელსაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ შევარდნაძეს საქართველოსათვის არაფერი სასიკეთო არ გაუკეთებია.

ის ხომ არ მიაჩნია ვინმეს შევარდნაძის დამსახურებად, რომ მისი თაოსნობით თბილისში 100 მილიონამდე მანეთი დაჯდა კომუნისტური რიტუალების მოსაწყობად საგანგებო ტრიბუნის აღმართვა? მართლაც რომ ბედის დაცინვას ჰგავს ის ფაქტი, რომ ამ ადგილს — ერთ ჩვეულებრივ თანამედროვე აკვედუკს — რესპუბლიკის მოედანი ეწოდა. რამდენი საბავშვო ბაგა-ბაღის აშენება შეიძლებოდა ამ თანხით?!

არგუმენტების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა შევარდნაძის „კაიკაცობის“ დამადასტურებელი ფაქტები, რომ იტყვიან თავზე საყრელადაა. ამიტომ, განცვიფრებას იწვევს სტატიის ავტორის რეკომენდაცია შევარდნაძის საქართველოს ეროვნული მოძრაობის კონსულტანტად მოწვევის შესახებ. ღმერთმა დაიფაროს ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა მისი ასეთი დახმარებისაგან!

მადლობა ღმერთს, ჩვენში საკმაოდ ბევრია განათლებული, სიბრძნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც მზადაა უანგაროდ ემსახუროს ქართველი ერის მომავალს.

ვალერიან გელაშვილი,
საქართველოს კომპარტიის 26 კომისრის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი

# სურს კი ედუარდ შევარდნაძეს ემსახუროს თავის ხალხს და იბრძოლოს მისი განთავისუფლებისათვის?

**წავიკითხე** ბატონ თემურ მირიანაშვილის გულისამაჩუყებელი სტატია ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეზე, სადაც ავტორი ცდილობს გამართლება მოუძებნოს ჩვენი რესპუბლიკის ყოფილი პირველი მდივნის მოღვაწეობის პერიოდში ჩადენილ ზოგიერთ სისასტიკეს, ქება-დიდებას ასხამს მის პოლიტიკურ მოღვაწეობას (ნაადრევი ხომ არ არის შეფასების გამოტანა?). მაგრამ, ძირითადი, რის გამოც ეს სტატია დაიწერა, არის ის, რომ ჩვენი ერისთვის ამ უმძიმეს დროს, ავტორის აზრით, ედუარდ შევარდნაძეს სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის. **გამოთქვა კი ამის სურვილი თვით ედუარდ შევარდნაძემ?** მის უკანასკნელ ინტერვიუში იგი კვლავ იმპერიის ერთიანობისაკენ მოგვიწოდებდა. „ედუარდ შევარდნაძეს — ... უთვალავი რამის მხილველსა და გადამტანს, დღეს ორი ინტერესიდა შეიძლება ჰქონდეს სამშობლოში: უმძიმეს დღეში მყოფი ერისათვის დახმარების გაწევა და კეთილი ხსოვნის დატოვება“. ბატონო თემურ, რატომ ლაპარაკობთ სხვის მაგივრად? განა დღესაც არ განაგრძობს იგი იმპერიის სამსახურს, როცა ისეთი ასოციაციის ჩამოყალიბება განუზრახავს, რომელიც ეთნოკონფლიქტების ჩაქრობის რეცეპტებს დაამზადებს? არსებული ეთნოკონფლიქტები ხომ ცენტრიდან არის ინსპირირებული?

ედუარდ შევარდნაძემ, ჩემის აზრით ჭკვიანმა კაცმა, ის გააკეთა, რომ დიდი ხნით შექმნა იმის ილუზია, რომ შესაძლებელია კომუნისტურ საზოგადოებაში პატიოსანი კაცი დაბეჩავებული არ იყოს. ეს იყო არა ბრძოლა ე. წ. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა კომუნისტური წყობის შენარჩუნებისათვის. რამდენი პატიოსანი ადამიანი აჰყვა ამ ცდუნებას. მეც მათ რიცხვში ვიყავი და სწორედ მაშინ შევედი პარტიაში.

შევარდნაძის „დამსახურებაა“ ის, რომ ჩვენ არ ვიცოდით სიმართლე ჩვენი წარსულის შესახებ, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ეთქვათ სიმართლე, 1937 წლის მსგავსად, რეპრესიებს განიცდიდნენ. თუმცა ეს რეპრესიებიც მზაკვრული და შენიღბული იყო. მართალია, შეიცვალა რეპრესიების მეთოდი, მაგრამ მიზანი ერთი იყო: შევგუებოდით ერთა შერწყმის პერსპექტივას, რომლისკენაც კომუნისტები მიგვაქანებდნენ. დახვრეტის ნაცვლად „პირველი“ თავისთან იბარებდა პატრიოტებს და სთხოვდა, გაჩერდი, გთხოვ, ნუ წამლავ ახალგაზრდებსო. ეს სიტყვები თვით ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. მე დავესწარი ერთ-ერთ პლენუმს, რომელიც საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციამ გამართა. აქ გამოვიდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ასეთი სიტყვებით მოგვმართა: **„... რამდენჯერ ვთხოვე აკაკი ბაქრაძეს, ნუ წამლავ ახალგაზრდებს. ჟურნალ „ცისკარში“ რომ დაწერა, გმირი სჭირდება ახლა საქართველოს, როცა აკაკის შემოქმედებას განიხილავდა, განა ცოტა გმირი ჰყავს ახლა საქართველოს? რამდენი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს მას, განა გმირი არ არის ირაკლი აბაშიძე?“...** და ხელი პრეზიდიუმში მჯდომი ირაკლი აბაშიძისკენ გაიშვირა.

ისიც კარგად მახსოვს, როგორ ჰქონდა აკრძალული აკაკი ბაქრაძეს ლექციების კითხვა. განა ეს ფაქტი არ არის, ბატონო თემურ?

თქვენ ამბობთ, ჩვენ სად ვიყავით, რატომ ხმა არ ავიმაღლეთ, ყველანი დამნაშავენი ვართო. დიახ, ბატონო, არავინ უარყოფს, მაგრამ ბევრმა ქართველმა ჩემსავით საქართველოს უახლეს ისტორიაზე არაფერი იცოდა და კომუნისტებისაგან გაბრუებული თვლიდა, რომ რუსების გარეშე ცხოვრება არ შეგვეძლო, ან თურქეთი გადაგვყლაპავდა, ან ირანი.

არაფერი ვიცოდით 1918-21 წლების საქართველოზე; გეორგიევსკის ტრაქტატზე. ყველა ხომ ისტორიკოსი არ იყო!

ედუარდ შევარდნაძის პირველი მდივნობის დროს განათლების სამინისტროს დავალებით მივლინებული ვიყავით სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შემოწმება-კონსულტაციებისათვის.

ჩვენ გამოვთქვით ჩვენი აზრი იქ უნივერსიტეტისთვის საჭირო სამეცნიერო და პედაგოგიური ბაზის არსებობის შესახებ, მაგრამ ვინ უგდო ჩვენს აზრს ყური. უფრო მეტიც, კარგად მახსოვს, როგორ უხეშად გადამირთო მორიგემ სასტუმროს ფოიეში ტელევიზორი თბილისიდან მოსკოვზე. ჩემს ქართულზე კი რუსულით მპასუხობდა.

იცით კი ვინ იყო ეს მორიგე? იგი ეროვნებით რუსი იყო და ჩემს მიწაზე ქართული სიტყვის მოსმენას მიშლიდა. შეიძლებოდა მაშინ ხმის ამოღება? რა უნდა მექნა, ვისთან მეჩივლა?

იმედი მაქვს ბატონი ედუარდი წაიკითხავს ბატონ თემურ მირიანაშვილის სტატიას, გამოხმაურებას მასზე და გვიპასუხებს: აპირებს თუ არა ემსახუროს იმ ერს, რომელსაც იგი ეკუთვნის? თუმცა ვინ იცის, თვით რას იტყვის, ან კი გავიგებთ, ჩვენ, უბრალო მოკვდავი ადამიანები მის დიპლომატიურ (ხშირად დემაგოგიაში რომ გადადის) სიტყვებს?

რაც შეეხება მის გადადგომას, იქნებ უკეთესიც იყოს იგი ჩვენთვის, ქართველებისთვის, თორემ ბატონი ედუარდი ისეთ რამეს მოიგონებდა, რაც ნიღაბს ჩამოაფარებდა იმპერიას. გორბაჩოვმა კი ჩამოხსნა ნიღაბი იმპერიას, იქნებ ამან უფრო დააჩქაროს ჩვენი გათავისუფლება, რომელიც აუცილებელი პირობაა ქართველი ერის გადარჩენისა.

აქ ისიც გამახსენდა, როგორ უწყობდა ხელს ბატონი ედუარდი რუსული ენის გავლენის ზრდას. რუსული ენის მცოდნე (ძირითადად რუსული სკოლის კურსდამთავრებულები) საჭირო ხალხად მიაჩნდა და მათ რაიკომის მდივნებად და სხვა საბატონო პოსტებზე ნიშნავდა. შემოიღეს რუსულის სწავლა ნულოვანი კლასიდან, საბავშვო ბაღში, რის გამოც შვილის კარიერაზე მოფიქრალ მშობლებს შვილები რუსულ სკოლაში შეჰყავდათ და ისეთი ადამიანები, რომლებსაც შოთა რუსთაველი, ვაჟა და ილია არ ჰქონდათ წაკითხული, საქართველოს მართავდნენ.

განა ყველაფერი ეს, დანაშაული არ არის ერის წინაშე? განა დანაშაული არ არის ის, რომ ქართველი კაცის საქმე უკან მიდის, მაგრამ არსებობს ილუზია, რომ ყველაფერი კარგად არის, ვებრძვით მექრთამეებს, ბანდიტებს. სამშობლოს მოღალატეებად ვაცხადებთ ახალგაზრდებს, რომლებიც გარბიან ამ საზოგადოებისაგან და... ვხვრეტთ მათ.

საინტერესოა, ჩვენი საზოგადოების აზრი აღნიშნულ საკითხზე.

ლევან ვეფხვაძე

## ნაწყვეტი პოლკოვნიკ ალქსნისის ინტერვიუდან

—...**გორბაჩოვმა** იცის, რომ განწირულია, მე ეს ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე შევამჩნიე... უკვე მაშინ შეაქციეს ზურგი პრეზიდენტს. შემიძლია მოვიყვანო ნაზარბაევის მაგალითი. ყრილობის პირველ დღეს ის მარჯვედ გადახტა გორბაჩოვის გემიდან ელცინის ნავში. ნაზარბაევს ვიცე-პრეზიდენტობა უნდოდა. ამაში მას მხარს უჭერდნენ გარკვეული წრეები... ფედერაციის საბჭომაც, რამდენადაც ვიცი, მოიწონა მისი კანდიდატურა. მაგრამ უკანასკნელ მომენტში ნაზარბაევი მიხვდა, რომ გორბაჩოვი იძირება და შეუძლია სხვებიც გაიყოლიოს ფსკერზე. დარწმუნებული ვარ, რომ სცენიდან შევარდნაძეც ამ მიზეზით წავიდა...

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ № 6. 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდა მჯეროდეს...

**ამთავითვე** ვიტყვი, რომ ბატონ თემურ მირიანაშვილთან პოლემიკას მე არ ვაპირებ, არა იმიტომ, რომ მთლიანად ვიზიარებ მის წერილში უხვად წამოჭრილი საპოლემიკო საკითხების ყველა ავტორისეულ განსჯა-შეფასებას, (თუმცა წერილის საერთო პათოსი ჩემთვის ძირითადად მისაღებია), არამედ იმიტომ, რომ ასეთ ურთულეს და თანაც პიკანტურ საკითხებზე მსჯელობისას, ვფიქრობ, ბევრად უფრო მეტი კომპეტენტურობაა საჭირო, მე კი არც პოლიტოლოგი გახლავართ, არც იურისტი, არც ეკონომისტი... ხოლო როცა საქმე ეხება ისეთი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეს, როგორიც ბატონი ე. შევარდნაძეა, — ჩვენი თანამედროვე და თანამემამულე, სათანადო კომპეტენციის გარდა, ცივი გონებაცაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ემოციებმა გადაგვძალა, ჩვენს მსჯელობებსა და შეფასებებს არავითარი ფასი არ ექნება.

ბატონო თემურ, ოდნავადაც არ მინდა ეჭვი შევიტანო თქვენს გულწრფელობაში, იმის სურვილში, რომ თქვენს წერილში თავიდან ბოლომდე ობიექტური მსაჯულის პოზიციებზე დარჩეთ, მაგრამ მე მაინც მომეჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში არც თქვენი მსჯელობა-შეფასებანი სცილდება ემოციებით დაღდასმული ვარაუდების ფარგლებს.

მე არ ვიცი, რამდენად იცნობთ თქვენ იმ კულისებს, იმ „სამზარეულოს", სადაც თავის დროზე თქვენს წერილში განხილული საკითხები წყდებოდა, განსაკუთრებით ისეთები, როცა სასწორზე იდებოდა თვით ადამიანების სიცოცხლე, მაგრამ პირადად მე ისე მეჩვენება, რომ ჩემისთანა რიგითი მწერლისა და ჟურნალისტისაგან ისეთი რანგის მოღვაწის „საქმის გარჩევა", როგორიც ბატონი ე. შევარდნაძე ბრძანდება, მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხული იქნებოდა, თუ მეტიჩრობა არა. ამიტომაც ვერიდები თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობას...

მე მხოლოდ ერთ საკითხს შევეხები მოკლედ, რომელსაც თქვენ ნებსით თუ უნებლიეთ გვერდი აუარეთ, ან, უფრო სწორად, გაკვრით შეეხეთ, როცა აბაშის ყბადაღებული ექსპერიმენტი პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიეთ. ამჯერად მე ე. შევარდნაძის მიერ სოფლის მეურნეობაში ჩატარებული სხვა „ექსპერიმენტები" მაქვს მხედველობაში.

მე არ ვიცი, სინამდვილეში „რა მოხდა აბაშაში", იქნებ მართლაც მოხდა მაშინ იქ რაღაც კარგი და დიდებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმ აბაშური ექსპერიმენტის მაშინდელი თავკაცის მიერ მოგვიანებით ჩადენილი „საქმენი საგმირონი" გამომზეურდა, ცოტა უხერხული ხომ არ არის ამ თემაზე ასეთი პათოსით ლაპარაკი?

მე ასევე არ ვიცი, რა ხდებოდა მაშინ დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებში, რა სასწაულებით ხდებოდა ჩაის „რეკორდული" მოსავლის მოწევა ყოველწლიურად და რატომ ეცემოდა ამის პარალელურად და პირდაპირპროპორციულად ქართული ჩაის ხარისხი...

სამაგიეროდ, კარგად ვიცი, რა ხდებოდა კახეთში. დიახ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კახელი მევენახე არასოდეს ყოფილა ისეთ უმწეო მდგომარეობაში ჩაყენებული, ისე აბუჩად აგდებული, დაწიხლული და დაჩაგრული; როგორც 70-იან წლებში და 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც ე. წ. „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანის აკრძალვის" ყბადაღებული კანონის სახელით სახელმწიფო ჩალის ფასად სტაცებდა ხელიდან ყურძნის მოსავალს და ეს ხდებოდა არა მარტო ღვინის ქარხნებში, არამედ კახეთის გზატკეცილებზე ათასგან აღმართულ შლაგბაუმებთან, თუკი რომელიმე „ურჩი" გლეხი გაბედავდა და სამიოდე ვედრო ყურძნის თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში გატანას შეეცდებოდა. ცხადია, საიმედოდ იყო შეკრული კახეთის რკინიგზაც. ეგ კი არა, რთველში ჩამოსულ სტუმარს ვერ გამოატანდი ერთ ვედრო ყურძენს, რომ უსირცხვილოდ გზაში არ წაერთმია მილიციას! და ეს მაშინ, როცა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრები მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოზიდული სომხური და აზერბაიჯანული ყურძნით იყო სავსე! კახელი გლეხი ქარვისფერ რქაწითელს ათ შაურად აბარებდა სახელმწიფოს, გადამთიელი მევენახე კი ორ-სამ მანეთად ჰყიდდა კილოგრამ ყურძენს.

განა შეიძლება „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის" გამჩაღებელი ცალი ხელით წვენების ფალსიფიკატორებს ყრიდე ციხეში და მეორე ხელით შაქრის ტომრებით დატვირთული მანქანების კოლონებს აგზავნიდე რთვლის დროს ღვინის ქარხნებში, მილიციის კორტეჟის თანხლებით?

ოღონდ, არ მითხრათ ახლა, შევარდნაძე რა შუაშია, მაგას თითოოროლა გალოთებული მეღვინე აკეთებდა ჩუმადო! ბრეჟნევს რომ ერთი მილიონი ტონა ყურძნის დამზადებას ჰპირდებოდა, იქნებ არც ის იცოდა რესპუბლიკის კომპარტიის პირველმა მდივანმა, რომ ასეთი მოსავლის მიღება მაშინაც კი შეუძლებელი იქნებოდა, მთელი საქართველო ვაზით რომ მოგვეფინა?.

ეს ყველაფერი მაშინაც კარგად იცოდა ხალხმა. ჰოდა, იმიტომაც ჩაფლავდა „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის" მაშინდელი კამპანია. სწორედ იმ წლებში იყო, შვილივით ნაზარდ ვაზზე კახელმა გლეხმა ნაჯახიანი ხელი რომ აღმართა და საზამთრომ რომ წალეკა ნავენახარი სავარგულები. სხვათა შორის, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გავაფრთხილო რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობა: მიმდინარე წლის შემოდგომამდე თუ არ დადგინდება ყურძნის ახალი, დღევანდელი ყოვლისმომცველი კატასტროფული სიძვირის შესატყვისი სახელმწიფო შესყიდვის ფასები, ერთობ საეჭვოა, რომ ქართველმა მევენახემ კვლავ არ მოუღეროს ვაზს ალესილი ნაჯახი!.

ერთი სიტყვით, ბატონო თემურ, სავსებით გეთანხმებით იმაში, რომ „ჩვენი „ზასტოისდროინდელი პირველი კაცი" ნამდვილად დიდოსტატი იყო კრემლის მიხრწნილ ლიდერთათვის თვალში ნაცრის შეყრის, ბუქის დაყენების, საქართველოს გამოცხადებისა კომუნიზმისგან ნახევარ ნაბიჯზე მყოფ რესპუბლიკად". საწყენი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამ „ბუქის დაყენებას" ჩვენი სოფლის მეურნეობა და ჩვენებური ღვინისა და ჩაის პრესტიჟი ეწირებოდა!

საწყენი-მეთქი, წამომცდა. აი, ხომ ხედავთ, ნაწყენი კაცის პოზიციებიდან ავლაპარაკებულვარ. ემოციებმა თავისი გაიტანეს! სულ დამავიწყდა, რომ ეს ყველაფერი მაინც რესპუბლიკის საკეთილდღეოდ კეთდებოდა, რესპუბლიკის ბიუჯეტისა და ეროვნული შემოსავლის გაზრდისათვის კეთდებოდა, რაც თავისთავად გულისხმობდა იმავე მევენახე გლეხთა ცხოვრების პირობების ამაღლებას, მაგრამ იცის ამდენი მევენახე ქიტესამ? იმისთვის რომ გეკითხათ იმ წლებში, გეტყოდათ, მჟავანაძის დრო სჯობდათ. რითაო? რითაო და მეტი თავისუფლება მქონდაო, ჩემს მოსავალს, სადაც მინდოდა და როგორც მინდოდა, იგრე ვყიდდი; ქრთამია და, იქ, სადაც ათი მანეთით საქმეს ვაკეთებდი, ასი მანეთი აღარა ჰყოფნისო და, რა ვიცი, კიდევ რას არ გაიგონებდი მისგან, — გლეხია, რა უნდა ელაპარაკო! ეგ კიდევ რა, ერთი ჩემი თანასოფლელი გლეხი სახლში პურმარილს არ გაშლიდა, „ვასილ აღმაშენებლის" სადღეგრძელო რომ არ დაელია (ღმერთმა შეუნდოს მასაც და მეც ასეთი მკრეხელობა!). ლექსიც კი გაჩნდა იმ წლებში ასეთი: „სანამ იყო ვასილი, კუჭი გვქონდა გავსილი, რაც კი დადგა შევარდნაძე, მუცლები გვაქვს შევარდნაზეო".

რას იზამ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო მოღვაწის ღვაწლის შეფასებაში არცთუ იშვიათად ცდებიან თანამედროვენი. მხოლოდ დრო, ანუ ისტორიაა ერთადერთი შეუმცდარი, პირუთვნელი, ნაღდი და სამართლიანი მსაჯული, რომელსაც ადრე თუ გვიან, სულ ერთია, მაინც შეაქვს ამ შეფასებაში საკუთარი კორექტივები.

ამ ხვედრს, ცხადია, ვერც ბატონი ედუარდი ასცდება და, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრისა ვართ ჩვენ, მისი თანამედროვენი, მოვა თაობა, რომელიც დროის დისტანციიდან, ყოველგვარი ემოციებისა და კონიუნქტურის გარეშე, სკრუპულოზურად შეაჯერებს, შეაფასებს და გადააფასებს ყველაფერს; იმ თაობის ქართველ ისტორიკოსს კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი (ერთადერთი!) კრიტერიუმი ექნება მომარჯვებული ყველა იმ მოღვაწის მიმართ, ვისაც ჩვენი ეპოქის საქართველოს მართვა-გამგეობის სადავეები ეპყრა ხელთ და ყველა, მათ შორის, ცხადია, შევარდნაძეც, გაივლის იმ „განსაწმენდელს", რომლის შესასვლელსაც აწერია: რა გააკეთე შენ საკუთარი სამშობლოსათვის? გააკეთე თუ არა ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შეგეძლო მის საკეთილდღეოდ? გააკეთე თუ არა ეს ისე, როგორც უნდა გაგეკეთებინა?

სხვა დანარჩენი — „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო"!

ისე რომ, ბატონო თემურ, თუ „დღეს მთელს მსოფლიოს პირზე აკერია ქართული გვარი, საოცარი ქება-დიდებით იხსენიებენ ქართველ კაცს, აცხადებენ მას არა მხოლოდ უთვალსაჩინოეს პოლიტიკოსად, არამედ, რაც მთავარია, თანამედროვეობის ერთ ყველაზე პროგრესულ და ნათელ პიროვნებად" და სხვ. როგორც არ უნდა ამებოდეს ეს ჩვენ ეროვნულ პატივმოყვარეობას, ჩვენი მომავალი ისტორიკოსისათვის ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი, მეორე და მეათეხარისხოვანი შტრიხები ქართველი მოღვაწის პიროვნული და პოლიტიკური პორტრეტის წარმოსადგენად.

აგერ, ლამის ოთხი საუკუნეა, არ ცხრება კამათი გიორგი სააკაძის, ამ ურთულესი პიროვნებისა და უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწის ფენომენის გარშემო, დაწყებული იოსებ თბილელიდან („დიდმოურავიანი") ჯერჯერობით ჯ. ღვინჯილიათი („გიორგი სააკაძის პიროვნება") დამთავრებული. ისიც, შაჰის კარზე მყოფი, კაი გვარიანად აზანზარებდა იმდროინდელ აზიას თავისი ჭკუითა და ხმლით, მაგრამ დღევანდელ ქართველს ყველაზე ნაკლებად მისი მოღვაწეობის ეს პერიოდი აინტერესებს, ყველაფერი საქართველოსთან მიმართებაში განიხილება. თუნდაც გიორგი მეთერთმეტე გავიხსენოთ, ეს ჭეშმარიტად უდიდესი პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი გოლიათური შესაძლებლობანი სპარსეთის იმპერიის გაძლიერების საქმეს შეალია და რომელიც თითქმის დაკარგულია ჩვენი ისტორიისათვის...

აღარაფერს ვიტყვი [illegible] ბაგრატიონზე და, [illegible] ქართველ მამლუქებზე. ამ [illegible]თვის, მართალია არ მემეტება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, იმ მამლუქებს თუ არაფერი ურგიათ, არც არაფერი დაუშავებიათ თავიანთი ისედაც მტერმრავალი სამშობლოსათვის, რომელიც, ესეც უნდა ითქვას, ზოგიერთი თანამედროვე ქართველისაგან განსხვავებით, არც საკუთარი ნება-სურვილით მიუტოვებიათ. არადა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენში მავანნი და მავანნი ე. შევარდნაძეს ზოგჯერ არამცთუ ამ უწყინარ მამლუქებს, თვით ყველაზე დიდი ქართველი რენეგატის — ს. ორჯონიკიძის გვერდითაც კი იხსენიებენ... მართლა და მართლა, ღმერთი აღარ არი?!

ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, ასე თუ ისე, გამოჩნდა ჩემი არცთუ ცალსახა, მაგრამ მაინც პრინციპულად პოზიტიური დამოკიდებულება ბატონ ე. შევარდნაძის მიმართ. ეს რომ მართლა ასეა, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, შემიძლია მოვიტანო ერთი წინადადება ჩემივე წერილიდან („ენამ უყივლა, ანუ დეპუტატმა სანაძლეო მოიგო!"), რომელიც 5 იანვრის „ახალგაზრდა ივერიელში" დაიბეჭდა. „მე მაინც მჯერა, — ვწერდი მაშინ, — რომ ყველაფრის მიუხედავად, ამ ინტერნაციონალისტი კომუნისტის, ე. შევარდნაძის, მკერდში მაინც ქართული გული ძგერს და საქართველოსთვის ეგზომ კრიტიკულ მომენტში, თუკი კრემლი მართლა საბედისწეროდ დაუპირისპირდება ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ბატონი ე. შევარდნაძე, მაღალ პოსტზე ყოფნის შემთხვევაში, ყველაფერს გააკეთებს ქართველი კაცის თვალში 9 აპრილს (სხვა ძველ ცოდვებზე აღარაფერს ვამბობ) ერთობ შელახული ავტორიტეტის რეაბილიტაციისათვის".

ეს სტრიქონები მაშინ დაიწერა, როცა სსრკ უმაღლესი საბჭოს IV ყრილობაზე მისი სენსაციური განცხადებიდან ორი კვირა იყო გასული და ჯერ კიდევ არავინ იცოდა დანამდვილებით, რა მოხდა, რა იყო ეს: ვნებათაღელვის მართლა სპონტანური აფეთქება, თუ შორს გამიზნული, საგანგებოდ დადგმული პოლიტიკური ფარსი.

დღეს ყველაფერი ნათელია. თქვენი თქმისა არ იყოს, „ე. შევარდნაძემ უარი თქვა არა მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრობაზე, არამედ ვიცე-პრეზიდენტობის პერსპექტივაზეც". არც ის მეჩვენება მთლად შეუძლებლად, რომ „მერე ე. შევარდნაძეს იმის შანსიც ეხსნებოდა, რომ კიდევ ერთ იმპერატორად მოვლენოდა რუსეთს".

მინდა მჯეროდეს, რომ ყოველივე ამაზე უარი მას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ „უმძიმეს დღეში მყოფი საქართველოსათვის სამსახურის გაწევის სურვილმა" ათქმევინა.

მინდა მჯეროდეს, რომ ასოციაცია, რომელსაც იგი დღეს უდგას სათავეში, ამავე მამულიშვილური გრძნობითა და სურვილითაა შექმნილი. და არა აფრიკა-აზიაში წამოჭრილი ეთნო და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოსაგვარებლად...

ვნახოთ. ალილო და ხვალაო. საქმემან მისმან გამოაჩინოს. სამშობლო — საქართველო საბოლოოდ არაფერს დაუკარგავს.

რატომ ვიქნებით მისი მოკვეთის მოსურნენი, თუკი სამშობლოზე იფიქრებს?..

**დურმიშხან გრიგოლაშვილი**

## ცუდი მაგალითი გადამდებია

საქართველოს დამოკიდებული კომპარტიის გაზეთ „ცხოვრებაში" ინტენსიურად იბეჭდება ბატონ ვლადიმერ ალფენიძის ბრწყინვალე ეპიგრამები. მოგეხსენებათ, როდესაც ჩვენში დიდი პოეტი გამობრწყინდება, მყისიერად უჩნდებიან მოშურნეები.

ერთ-ერთმა მათგანმა ელ. ფე-ლი-ს ხელმოწერით რედაქციას გამოუგზავნა ვლ. ალფენიძეზე დაწერილი ყოვლად უმსგავსო ლექსი. რედაქცია პირდაპირ აღშფოთებულია ჩვენი საყვარელი მწერლის, ვირფასი გაზეთის ვირფასი რედაქტორის, დიდად სახელგავარდნილი მოღვაწისადმი ასეთი უდიერი დამოკიდებულებით.

ვბეჭდავთ ამ ეპიგრამას უცვლელად, რათა გულში არ დავიტოვოთ ეს აღშფოთება და მკითხველიც შემოვიზიაროთ.

## ბედნიერი ვლადიმერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

გაგვიცოცხლდა, დაგვიბრუნდა
ალფენიძე ვლადიმერი:
ედუარდის ფერხთა მტვერი,
ერთგული და მადლიერი;
კომუნისტი, ქვემძრომელი,
ბოლშევიკი, წესიერი.
ქაჯეთისა ციხის მცველი
მოტრფიალე, გულის მწველი.

(მისამღერი)

ამისთანა ბედნიერი
არის სადმე ვლადიმერი?

ახლაც თვალში გვაყრის ნაცარს
ალფენიძე ვლადიმერი:
ლადო — ვითომ პოეტი და
ლადო — ვითომ მეცნიერი!
ბახტრიონელ-ეგრისელი,
ყოვლად ურცხვი, უდიერი;
იყალთოელ-წინანდლელი,
ცრუი, ქსუი, მანკიერი.

(მისამღერი)

ამისთანა ბედნიერი
არის სადმე ვლადიმერი?

მარქსისტი და ლენინელი —
დაგვიბრუნდა ვლადიმერი:
კრემლით ძალამიცემული
ღონიერი და ძლიერი;
პროვინციელ-დილეტანტი,
ვირეშმაკა და ცბიერი;
პირს ლაგამი ზომიერი,
გამაძღარი, არ მშიერი.

(მისამღერი)

ამისთანა ბედნიერი
არის სადმე ვლადიმერი?

**ელ. ფე-ლი**

## სურთ თუ არა რუსებს გაქცევა?

**გასული** წლის ნოემბერ-დეკემბერში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საკავშირო ცენტრმა მოაწყო საზოგადოებრივი აზრის რამდენიმე გამოკითხვა ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემებზე. მათ შორის იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში არიან სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრები რუსები.

რესპუბლიკებში ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავების მიუხედავად რუსებს არ სურთ აქედან წასვლა. პირველ ყოვლისა, ეს იმით აიხსნება, რომ რუსების ცხოვრების დონე, მათივე აღიარებით, ამ რესპუბლიკებში გაცილებით მაღალია, ვიდრე რუსეთში ექნებოდათ. [illegible] წუხილი საკუთარი მომავლის გამო აიხსნება პოლიტიკური არამდგრადობითა და იმპერიის დაშლის პროცესის შედეგად რუსების სტატუსის მნიშვნელოვანი შეცვლით.

...რესპუბლიკებში მცხოვრები რუსების დამოკიდებულება სსრკ-დან გამოყოფის საკითხისადმი უმეტესად ნეგატიურია, თუმცა ლატვიაში, უკრაინაში, საქართველოსა და ესტონეთში არსებობს ამ ქვეყნებში ხანგრძლივად მცხოვრები რუსების დიდი ჯგუფები, რომლებიც იზიარებენ მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკურ შეხედულებებს (19 პროცენტიდან 31 პროცენტამდე)...

ამა თუ იმ ხალხის ნაწილად რომ იგრძნო თავი, ამისათვის მისი ენა უნდა იცოდე, უდიდესმა უმრავლესობამ რუსებისა კი, ადგილობრივი მოსახლეობის ენა „ცუდად იციან ან საერთოდ არ იციან"...

ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულების გამო, რუსეთში გადასახლებისათვის მზადაა რესპუბლიკებიდან წასვლის მსურველთა 12 პროცენტამდე (საერთო ჯამში ესაა 350 ათასზე მეტი კაცი), მაგრამ საკუთარი სიცოცხლის მიმართ რეალური საფრთხის შეგრძნება და ჯარების მოწვევისათვის მზადყოფნა 1991 წლის დასაწყისისათვის არსებობდა მხოლოდ შუა აზიაში. და ეს არის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ბალტიისპირეთსა თუ ამიერკავკასიაში არსებული სიტუაციისაგან, სადაც ამგვარი განწყობილება შეიმჩნევა ნაკლებად განათლებულ რუსთა მცირე ნაწილში. პოტენციური მიგრანტები, რომლებიც მზად არიან გაიქცნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გამოკითხვის მიხედვით ყველაზე მეტნი აღმოჩნდნენ უზბეკეთში (130000 კაცი), ტაჯიკეთში (50000-ზე მეტი), ყირგიზეთში (20000). ამიტომაც აქაური რუსები მზად არიან მოიწონონ ამ რესპუბლიკების მიმართ სსრკ-ის მთავრობის ყოველგვარი მოქმედება.

რუსების თუ სხვა ეროვნულ უმცირესობათა დაცვა გამოკითხულთა უმრავლესობის (როგორც რუსების, ისე მკვიდრი მცხოვრებლების) აზრით უნდა შედიოდეს რესპუბლიკათა მთავრობების კომპეტენციაში.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი". № 6. 1991 წ.

# კანგარები

## ანუ „ტამბოველი" ბიჭები

### უშანგ სახლთხუციშვილი

**ეროვნულმა** მოძრაობამ კულმინაციას ლატვიაში 1988 წელს მიაღწია. ეს იყო ლატვიელი ხალხის მესამე გამოღვიძება, რომელიც გამოჩენილი ლატვიელი პოეტის ანდრეი პუმპურის პოემის „ლაჩპლესის" მესამე წლისთავის საიუბილეო წელს დაემთხვა. არ ვიცი, სიმბოლურია, თუ ამაში რაღაც კანონზომიერება არსებობს, ლატვიელი ხალხის პირველი და მეორე გამოღვიძებაც, ლეგენდარული გმირის ლაჩპლესის სახელთანაა დაკავშირებული. ლატვიელებმა მონობის უღელს პირველად ამ ასი წლის წინათ მედგრად დაუწყეს მსხვრევა. სწორედ მაშინ, 1988 წელს დაწერა ანდრეი პუმპურმა დიდებული პოემა „ლაჩპლესი". ლეგენდარულმა ლაჩპლესმა აზვირთა ლატვიელი ხალხის დაუმონებელი სული, სასტიკად დაამარცხა შავი რაინდი — ბოროტების სიმბოლო, დაამხო მტერი და მისი დამქაში კანგარი — სამშობლოს გამყიდველი და ხალხს თავისუფლება მოუპოვა.

ლატვიელთა მეორე ეროვნული გამოღვიძება 1918 წელს მოხდა. ახლად შექმნილმა ლაჩპლესის სახელობის ლეგიონებმა ორი მხრიდან — გერმანიიდან და საბჭოთა რუსეთიდან — შემოჭრილ შეიარაღებულ ბანდებს კუდით ქვა ასროლინეს და ქვეყანა იხსნეს ხელახალი ანექსიისაგან. ლატვიელი ხალხის ამ გმირულმა თავდადებამ დაუმტკიცა მსოფლიოს ხალხებს, რომ იგი ღირსია იყოს თავისუფალი და ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1918 წელს ლატვია გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად, რომელიც მალევე ცნეს მსოფლიოს ქვეყნებმა. სულ ორი ათეული წელი იყო ლატვია თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო და დროის ამ მცირე მონაკვეთში ლატვიელებმა შეძლეს შეუძლებელი. იმას, რასაც სხვა ქვეყნებმა საუკუნეები მოანდომეს, მათ ოც წელში მიაღწიეს. ქვეყანა აყვავების გზას დაადგა. დიახ, იგი აყვავდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დიდ წარმატებებს მიაღწია მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების, საერთოდ, კულტურის სფეროში... ეკონომიკურად ისე მომძლავრდა, რომ ბევრ დარგში უკან ჩამოიტოვა ევროპის განვითარებული ქვეყნებიც კი.

დემოკრატიული ლატვია მარტო ლატვიელებისათვის არ იყო სამოთხე. აქ ბედნიერად გრძნობდნენ თავს სხვებიც: გერმანელები, რუსები, პოლონელები, ბელორუსები... ლატვიის მთავრობა ხელს უწყობდა მათი კულტურის განვითარებას. დემოკრატიულ ლატვიაში არსებობდა გერმანული, რუსული... გიმნაზიები. აქ ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ მაგალითისათვის იმას კი ვიტყვი, რომ ბელორუსებს იმ დროს, როცა საკუთარ სამშობლოშიც კი არ გააჩნდათ მშობლიურ ენაზე სკოლები, ლატვიაში არათუ სკოლები ჰქონდათ, არამედ ლატვიის უნივერსიტეტში ბელორუსული ფილოლოგიის ფაკულტეტიც კი არსებობდა. ჰქონდათ საკუთარი გაზეთი და გამომცემლობა. სადაც ბელორუსულ ენაზე მრავალი წიგნი დაიბეჭდა (როგორ ჰგავს ყოველივე ეს „ჩვენი უმადური და გზააბნეული" ოსების მაგალითს!).

სამოციან და შემდგომ წლებში ბევრჯერ შევხვედრივარ ლატვიაში ომამდე მაცხოვრებელ სხვა ერის წარმომადგენლებს, რომლებიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, თანაც დიდი გულისწუხილით იგონებდნენ გარდასულ დღეებს, იმ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც დამოუკიდებელმა ლატვიამ მოუტანა მათ... მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ბალტიისპირეთშიც ყველაფერი აირდაირია. 1939 წელს სტალინი და ჰიტლერი მორიგდნენ ევროპის განაწილებაში. 23 აგვისტოს დაიდო ე. წ. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირს ხელ-ფეხი გაეხსნა ბალტიისპირეთის დემოკრატიული რესპუბლიკების ანექსიისაკენ. ევროპის ქვეყნებს აღარ ეცალათ მათთვის, თვითონაც ცეცხლში იყვნენ გახვეულნი. საბჭოთა კავშირმა ლატვიას შეუწყვიტა ნედლეულის მიწოდება (ესეც როგორ ჰგავს დღევანდელ მდგომარეობას!) ადგილობრივმა ბოლშევიკებმა მიატოვეს სამალავი და აშკარად დაიწყეს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები. საბჭოთა მთავრობას ისღა დარჩენოდა, „მუშათა კლასს" ამოსდგომოდა მხარში და 1940 წლის ივლისში ბურჟუაზიული უღლისაგან გასათავისუფლებლად „შეზღუდული კონტიგენტი" გააგზავნა. ხელოვნურად შეაკოწიწეს ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს მოხუცი პროფესორი ა. კირხენშტეინი. იგი მთელ ლატვიაში დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. სწორედ ეს გამოიყენეს ბოლშევიკებმა, თუმცა კირხენშტეინის მთავრობა ფიქტიური იყო, მოხუც პროფესორს არავინ არაფერს ეკითხებოდა. ქვეყანას ფაქტიურად ბალტიისპირეთის ჯალათი, სსრკ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ვიშინსკი, საბჭოეთიდან შემოგზავნილი ემისრები და ლატვიელი კანგარები განაგებდნენ...

რამდენჯერმე მინახავს დოკუმენტური ფილმი, რომელიც იტყობინება, თუ როგორ შემოდიან წითელარმიელთა კოლონები, ტანკები და მხიარულად ხვდებიან ყვავილების თაიგულებით ლატვიელი ქალიშვილები „განმათავისუფლებელ არმიელებს". თუმცა, ამ სცენის თვითმხილველნიც შემხვედრიან, რომელნიც მიმტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეაო. მაშინ ვეჭვობდი, მაგრამ ახლა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს იყო შეკოწიწებული, მოსკოვში წინასწარ დაწერილი სცენარით დადგმული სპექტაკლი. ასეთი სცენებით ხომ ჩვენს დროსაც ბევრგან დადგეს სისხლიანი დრამები.

მკითხველს, ალბათ, ბევრჯერ სმენია, თითქოს წითელმა არმიამ სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ხალხები. ამ აზრს ახლაც ვერ ელევიან ინტერფრონტელები, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმია სირცხვილნაჭამი და სახელგატეხილი გამოაბუნძულეს ავღანეთიდან. ხშირად გაიგონებთ: „ზა კავო მი ნე პროლივალი კროვ" და ერთხელაც არ იკითხავენ: „ქტო ნე პროლივალ ზა ნიხ კროვ?" დიახ, ეს ასეა, მაშ, ვისთვის დაიხოცნენ ჩვენი ბიჭები, ბალტიისპირელები ავღანეთში? მე ბევრი ქართველი შემხვედრია, 1940 წ. ლატვიაში რომ იბრძოდა ლატვიელი ხალხის „გასათავისუფლებლად". ერთმა ისიც მისაყვედურა, „სულ ტყუილად აქებ მაგ ლატვიელებს, მაგათნაირი ვერაგი ხალხი არ არსებობსო. გერმანელებთან ისე არ გაგვძნელებია ბრძოლა, როგორც მაგათთანო." ამისთანებს მინდა ვუთხრა: ჩემო ძმებო და ბიძიებო, ნუთუ ახლაც ვერ ხვდებით, თუ რატომ გებრძოდნენ ერთი მუჭა ლატვიელები ასე თავგანწირვით კბილებამდე შეიარაღებულ წითელარმიელებს? ისინი თავის სამშობლოს, თავისუფალ, დემოკრატიულ რესპუბლიკას იცავდნენ, რომელიც თქვენ არ გქონდათ, გებრძოდნენ, რომ თქვენსავით უსამშობლოდ არ დარჩენილიყვნენ.

დავუბრუნდეთ იმ ამბებს, რომლის თქმასაც ვაპირებდი, ინტერფრონტელებს სულელურად სჯერათ, რომ საბჭოთა არმია დამპყრობელი კი არ არის, კულტურტრეგერია, სადაც რუსი შედის, კულტურა და ცივილიზაცია შეაქვს. ამ ვიგინდარებისათვის სულ ერთია, ვინ არიან ადრესატები ბალტიისპირელები, ქართველები თუ ციმბირის მივიწყებული ტომები...

მაშ ასე, 1940 წელი. წითელი არმია შევიდა რიგაში „ლატვიელი ხალხის გასათავისუფლებლად". ალბათ, „კულტურის შესატანადაც". ამას გაიგონებს ლატვიაში ძველი მაცხოვრებელი პატიოსანი რუსი და სირცხვილით დაიწვება. ლატვიელი კი დინჯად, აუღელვებლად მიუგებს: „დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, წითელი არმიის გენერლის ცოლმა ასწავლა ჩვენს ქალებს სამეჯლისო კაბების შერჩევა და ჩაცმა".

ეს ამბავი მთელ ლატვიაში ანეკდოტად დადის. ლატვია „გაათავისუფლეს" და ახალი ხელისუფლება მეჯლისს აწყობს. გენერლის ცოლს, რომელიც გამოფხეკილი კოსტრომიდან თუ ვიაზმიდან ბრძანდებოდა, რიგაში სავსე მაღაზიები დახვდა. რა გინდა, სულო და გულო, რა ჩასაცმელი, რა დასახური. და, აი, გენერლის ცოლმაც ერთი „მშვენიერი კაბა" შეარჩია. საღამოს ხელკავგაყრილ მეუღლესთან მობრძანდა თავმომწონედ. კმაყოფილია გენერალი, ყველა მას უყურებს... თვალებდაჭყეტილი ირონიული ღიმილით... ქალს მეტი რა უნდა და იმანაც მოუმატა კეკლუცობას, ოღონდ ვერ მიმხვდარიყო, ქალები რას ჩურჩულ-კურკურებდნენ. გენერლის ცოლს ეგონა, ბოღმით დახოცა ლატვიელი ქალები, რაკი მისი გამჭვირვალე კაბისნაირი არავის ეცვა... უბირმა ქალმა არ იცოდა, ან თავის გაღატაკებულ სამშობლოში სად უნდა ენახა, მას ხომ ღამის პერანგი, პენუარი ეცვა, ლატვიელ ქალებს, რამდენიმე წყვილი რომ ეწყოთ კარადის თაროებსა თუ საწოლ ოთახში.

აი, სწორედ იმ ლატვიის აღდგენისათვის იბრძვიან ლატვიელები, მათთან ერთად სხვებიც, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება. ლატვიელების გვერდით დადგნენ რუსი ერის ღირსეული წარმომადგენლები: ექიმი ტოლპეჟნიკოვი, მწერლები: ლ. აზაროვა, მ. კოსტენეცკაია, ვ. დოზორცევი, რ. დობროვენსკი... ინტერფრონტელებს დაუპირისპირდნენ დემოკრატიულ ლატვიაში მაცხოვრებელი რუსები და მათი შთამომავლები. მე თავად ვარ მოწმე, როგორ არ შეუშვეს რუსებმა ინტერფრონტელები ვეფ-ის ქარხანაში.

1989 წ. 23 აგვისტოს, როცა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დასაგმობი აქცია გაიმართა, ტალინიდან ვილნიუსამდე 650 კმ-ზე გადაიჭიმა ცოცხალი ჯაჭვი, ე. წ. „ბალტიის გზა", ჩემთან და ჩემი შვილის გვერდით ხელჩაჭიდებული იდგა რუსის ოჯახი. ძუძუთა ბავშვიც კი წამოეყვანათ თან. მე მჯერა, რომ ისინი გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს ლატვიელთა არჩეულ გზას. მჯერა, რადგან, როცა თავზე სამხედრო შვეულმფრენები დაგტრიალებენ, ბავშვებს სეირის საყურებლად არ მიჰყავთ.

მაშ, ვინ არიან ეს ინტერფრონტელები, თუ რუსულენოვანი მოსახლეობის მეტი წილი ლატვიელებს უჭერს მხარს? ესენი არიან გადამდგარი სამხედროები, გასამხედროებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები, იმ ფაბრიკა-ქარხნების მუშები, რომლებიც ამ ოცი წლის მანძილზე ათასობით შემოასახლეს ლატვიაში. ინტერფრონტელთა რიგებს ავსებენ ლატვიელი კანგარებიც — ერის გამყიდველები. მას მხარს უჭერს ე. წ. ლატვიის პრომოსკოვური კომპარტიაც. შარშან ჩემთან საუბარში ეს აშკარად გამოხატა ამ პარტიის წარმომადგენელმა ი. პურმალმა. „ჩვენი იდეალები და მისწრაფებანი სავსებით ემთხვევა ინტერფრონტის იდეალებსა და მისწრაფებებს, ამიტომ ვართ მის მხარეზეო". ახლა კი გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ ე. წ. „ხსნის კომიტეტი" ლიტვა-ლატვიაში ინტერფრონტების დიქტატით შექმნეს სკკპ პლატფორმაზე მდგარმა კომპარტიებმა.

როგორც გითხარით, ეროვნულმა მოძრაობამ კულმინაციას 1988 წელს მიაღწია. ყველგან, ქალაქად და სოფლად, იმართებოდა მიტინგები, სადაც ყველანი ეროვნული ტანსაცმლით გამოდიოდნენ. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება თავისუფლების ძეგლთან გამართული მიტინგი და საზეიმო მსვლელობა. ეროვნული დროშისფრად, წითელ-თეთრ-წითელ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები, სამ-სამნი ყელმოღერებით რომ მიდიოდნენ ძეგლთან და სამ-სამ ყვავილს — წითელ-თეთრ-წითელ მიხაკებს აწყობდნენ კვარცხლბეკთან. მაგონდება ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ბერკლავის სიტყვაც: „ჩემი ოპონენტები სხვა რესპუბლიკებიდან ხშირად მედავებიან, რა გააპირეთ საქმე ლატვიელებმა, რა თავისუფლება მოგინდათ, განა ჩვენზე თავისუფალი ხალხი არსებობს ქვეყანაზე. მე ვუხსნები, რომ თქვენ არ იცით, რა არის ნამდვილი თავისუფლება. თქვენ აღიზარდენით ტირანულ სახელმწიფოში, მე კი თავისუფალ, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამიტომ ვიბრძვი იმ თავისუფლების დასაბრუნებლად".

ჩვენმა მკითხველმა, ალბათ, არ იცის, რომ ეს ბერკლავი ერთ დროს ლატვიის კპ ცკ-ის მდივანი იყო. ვუსმენდი და ვფიქრობდი, ნეტავ ჩვენი მდივნებიც გადამდგარნი თუ ფუნქციონერნი, ჩაუდგებიან ეროვნულ მოძრაობას სათავეში? იქნებ, მათაც აქვთ ასეთი სურვილი და ჩვენ ვერ ვიყენებთ? თავად ანატოლ გორბუნოვიც, ხომ ერთ დროს ცკ-ის მდივანი იყო. შემდეგ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მიერ დაკომპლექტებული ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტის მეთაურადაც დეპუტატებმა სწორედ იგი დაასახელეს. ხალხს სწამს და სჯერა თავისი ლიდერის!

ყარაყორუმიდან ბევრი „გადამუშავებული" ლატვიელი გამოუგზავნიათ რესპუბლიკაში სამუშაოდ, რა თქმა უნდა, ისინი ცენტრის ყურმოჭრილი ყმები უნდა ყოფილიყვნენ. ერთ-ერთი, ვინც იმედები არ გაუმართლა მათ, გახლავთ ივარ წესბერი, რომელიც საკავშირო რადიოტელევიზიის სახკომის თავმჯდომარის მოადგილე იყო. ლატვიაში იდეოლოგიის სფერო ჩააბარეს. ალბათ სპეციალური ინსტრუქციაც გამოაყოლეს თან, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ივარ წესბერი თავისი ერის ღირსეული შვილი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ ესხმიან თავს ინტერფრონტელები. თითქმის ყოველ მიტინგსა თუ თავშეყრის ადგილას გაისმის ანატოლ გორბუნოვისა და ივარ წესბერის ლანძღვა-გინება: „ძირს გორბუნოვები და წესბერები". მაგრამ ერის ღირსეულ შვილებზე ეს გესლიანი ლანძღვა-გინება ზეგავლენას ვერ ახდენს. ისინი ეროვნული საქმით არიან დაკავებულნი. შარშან გაზაფხულზე, როცა ლატვიის კომპარტია ორად გაიყო, დამოუკიდებელ კომპარტიას სათავეში ჩაუდგა ი. წესბერი. ამ პარტიამ სექტემბერში თვითლიკვიდაცია მოახდინა და მის ბაზაზე შეიქმნა ლატვიის შრომის პარტია.

ერთ-ერთ დიდ მიტინგზე, რომელსაც 270 ათასი კაცი ესწრებოდა, ლატვიის სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ დ. ივანსმა ასე მიმართა შეკრებილთ: **„მე მოგიწოდებთ, ნურაფერს შეუშინდებით, ჩვენ აღარაფერი გვაქვს დასაკარგავი, გარდა ჩვენი პირუტყვული ცხოვრებისა, ურწმუნოებისა, დამცირებისა და უსამართლობისა... ლატვიავ, უკვე აღდგნენ შენი შვილები, რათა სიმართლე ილაპარაკონ. მოგვიტევე და გვაპატიე, მამულო ჩვენო!"** დ. ივანსი ახლა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა და საქმით ამტკიცებს ხალხის ერთგულებას. ლსფ-ს კი სათავეში უდგას ლიტველი რ. რაჟუკი. ვფიქრობ, იმ ავყია ინტერფრონტელებს, რომელთაც ბალტიისპირეთში ინტერნაციონალისტებს ეძახიან, ეს ფაქტი პირში ბურთს ჩაჩრის, თუ ლატვიელები შოვინისტები არიან, სახალხო მოძრაობის ლიდერად ლიტველი როგორღა გაუშვეს?

ამავე მიტინგზე ა. გორბუნოვმა თქვა: „გუშინ, გვიან საღამოს ბედმა მარგუნა ხელი მომეწერა მთავრობის დადგენილებისათვის რეალური სახალხო მთავრობის შექმნის თაობაზე. ყველაფერს გავაკეთებ, რათა აღარ არსებობდეს უფსკრული ხალხსა და მთავრობას შორის".

მაშინდელ გამომსვლელთა სიტყვებიდან გულს ყველაზე მძიმე ლოდად მოხვდა ლატვიელი პოეტის — მარა ზალიტეს ნათქვამი: „მე მჯერა, რომ ჩვენს ხალხში ლაჩპლესის გენებია. მაგრამ კანგარის გენებიც რომ არის, ესეც გასათვალისწინებელია. პირველ რიგში, ეს უნდა ამოვაჩინოთ ჩვენში". გაოცებული დავრჩი, ნუთუ ამ ერთსულოვან ხალხში მოღალატე კანგარებიც აღმოჩნდებიან, რომლებიც უსირცხვილოდ გადავლენ მტრის ბანაკში. ამ კანგარებში ვის გულისხმობდა-მეთქი, ვკითხე ლატვიელ მეგობრებს. ძირითადად „ტამბოველ ბიჭებსო", — მიპასუხეს.

ეს გამოთქმა ოცდახუთი წლის წინათ გავიგონე, რიგაში სწავლის დროს. ლექტორმა მე და ჩემს მეგობარს გვითხრა, დღეს ა. ვოსი მოდის უნივერსიტეტში, თუ გინდათ, დაესწარითო. წავედით, მაგრამ საქტო დარბაზში არ შევსულვართ, კინოში გავუტიეთ. რა ვიცოდი, თუ ჩვენი მასწავლებელი შეხვედრის ამბავს გამოგვკითხავდა: [illegible] დავესწარითო. რა ენაზე საუბრობდაო. ვაი, ჩვენს თავს [illegible] რადაც და რუსულადაც", — ვუთხარით თავჩაღუნულებმა. „ლატვიურადაც?" — გაოცდა კაცი. რა ვიცოდით, თურმე პარტიულ ფუნქციონერს არ ეხერხებოდა მამაპაპურ ენაზე საუბარი. „ონ ჟე ტამბოვსკი პარენ", — თავისთვის ჩაიდუდუნა მოხუცმა ლექტორმა. მერე და მერე გავიგე, რომ „ტამბოველ ბიჭებს" გადაგვარებულ ფუნქციონერებს ეძახდნენ. ამ ბოლოს დროს კი ერთ კონტექსტში მოიხსენიებენ კანგარებსა და „ტამბოველ ბიჭებს". **აქ ერთი რამ კიდევ უნდა ვუთხრა ქართველ მკითხველს: ლატვიურში, ისევე, როგორც ქართულში, მამის სახელით მიმართვა არ არსებობს. ლატვიელმა თავისი თანამემამულე „იჩობით" თუ მოიხსენია, წასულია იმ კაცის საქმე. მის პიროვნებას ლატვიელთა თვალში დაკარგული აქვს ფასი: არვიდ იანოვიჩ, აუგუსტ იანოვიჩ, ბორის კარლოვიჩ...** ამ ბოლო დროს აშკარად ასახელებენ ლატვიელი ხალხის მოღალატეებს: პელშეს, ვოსს, პუგოს, ძენიტის, რუბიკს, კლაუცენს, ალქსნისს... თუმცა, რა გინდათ, არც იმპერიული ცენტრი ტოვებს მათ უყურადღებოდ: ძენიტი სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილედ დააწინაურეს, პუგო — შინაგან საქმეთა მინისტრად, რუბიკი — ლატვიის (პრომოსკოვური) კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად „აირჩიეს", კლაუცენი — მეორე მდივნად, ალქსნისს პოლკოვნიკის ჩინი მიანიჭეს. ვინ არიან პუგო და ალქსნისი, მკითხველმა, ალბათ, იცის. ოღონდ ერთს კი ვიტყვი, ამ სამიოდე წლის წინათ რიგაში გახმაურებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. ასამართლებდნენ ახალგაზრდას, რომელსაც ბრალად ედებოდა პლაკატის გამოტანა, რომელზეც ერის მოღალატეები იყვნენ დასახელებულნი. ჭაბუკი გაამართლეს და გაათავისუფლეს. საბოლოო სიტყვაში მან თქვა: „მე კარგად გავეცანი პუგოს მოღვაწეობას და საჯაროდ ბოდიშს ვუხდი, იგი ლატვიელი ერის მოღალატე არ არისო". შეიძლება ეს მართლაც ასეა, ძალიან ძნელია ადამიანს ასეთი მძიმე ბრალდება წაუყენო, მაგრამ როგორ შევუთავსოთ ერის პატრიოტს ის სიტყვა, რიგაში დატრიალებული ტრაგედიის თაობაზე რომ განაცხადა ბატონმა მინისტრმა, რიგაში თუ სისხლისღვრა მოხდა, მე არ მჯერაო. სამშობლოში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა თუ გულთან არ მიიტანა, სხვებს რა იმედი უნდა გვქონდეს ასეთი მინისტრის?

ვინ არის ალქსნისი, რა იცით მის შესახებ იმის გარდა, დემაგოგიური გამოხდომებით თავი რომ მოაბეზრა მილიონობით ტელემაყურებელს. ეს არის კაცი, რომელსაც გვარის მეტი არაფერი აქვს ლატვიური. თავის მამულში მაცხოვრებელმა ორი ლერი ლატვიურიც არ იცის. იგი არც გამჭრიახობით უნდა ბრწყინავდეს, თორემ თავის ჯალათი პაპის ი. ალქსნისის ცხოვრება-მოღვაწეობას გაკვეთილად გამოიყენებდა. მისმა პაპამ, რომელიც ოცდაათიან წლებში ვოროშილოვის მოადგილე იყო, მრავალი ადამიანი გაისტუმრა იმიერ ქვეყანაში, მათ შორის თავისი ახლო მეგობრებიც, მარშლები და გენერლები: ტუხაჩევსკი, ეკირი, ეიდემანი, კორკი... მერე „გეგმა გადაჭარბებით რომ შეასრულა", 1938 წელს ისიც მათ გზას გაუყენეს. ვ. ალქსნისსაც ხომ არ ელოდება ასეთი დასასრული?

ამ ბოლო დროს ლატვიაში იმდენი ანეკდოტი არავისზე შექმნილა, რამდენიც კლაუცენსა და რუბიკზე. ყველას ვერ მოგიყვებით, ერთი პლაკატის შინაარსს კი გაგაცნობთ, პირველად ამ სამიოდე წლის წინათ რომ გამოჩნდა: „მსოფლიო უკომუნიზმოდ, ლატვია უბოლშევიკოდ, რიგა ურუბიკოდ". რუბიკი მაშინ ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელობდა. აი, ასეთი კაცი, რომელიც ჭირის დღესავით სძულდა ლატვიელ ხალხს, ლატვიის კომპარტიას ჩაუყენეს სათავეში. და აი, იანვრის სისხლიან დღეებში რუბიკმა თავისი კანგარობა დაამტკიცა. სწორედ ამიტომაც მოითხოვს აღშფოთებული ხალხი, სამართალში მისცენ რუბიკი და მისი ბანდა.

იმპერია სულს ღაფავს და ამიტომაც მწარედ იკბინება. უკვე ბევრგან დაიღვარა უდანაშაულოთა სისხლი. კანგარებისა თუ „ტამბოველი ბიჭების" ხელის შეწყობით ლატვიაშიც დატრიალდა სისხლიანი ტრაგედია. მაგრამ ბედის ჩარხს უკუღმა ვერ დაატრიალებ. ხალხი, რომელშიც გამოიღვიძა ლაჩპლესის სულმა, ძირს დასცემს შავ რაინდს — ბოროტების სიმბოლოს — და კანგარებსაც ზედ მიაყოლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოსათხოვარი

## მშვიდობით, ჩემო სულიერო ძმაო



**ქვალორალიან** მიწაში გაჰრილმა სამარემ სამუდამოდ მიაფარა თვალთაგან ელდარ კერძევაძის მოუსვენარი, თითქოს ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიით დამუხტული სხეული... მისი ბობოქარი სული კი ჭეშმარიტ პოეტთა მარადიულ, უსაზღვრო და უკიდეგანო სამყოფელში გადასახლდა...

ყოვლად მოულოდნელი ელდით შეძრულს, ალბათ, დიდი დრო დამჭირდება, რათა ბოლომდე გავიცნობიერო, ვინ იყო იგი ჩემთვის, ვინ დავკარგე და რამხელა ტკივილის ზიდვა მომიწევს დარჩენილი სიცოცხლის ისედაც ძნელად სავალ გზაზე... აშკარად ვგრძნობ, რომ დრო ამ შემთხვევაში მკურნალად ვერ გამომადგება...

ის ხომ უახლოეს მეგობრებშიც გამორჩეული გვყავდა მეც და მის სხვა არაერთ მეგობარს... სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო... ნათქვამია, მშობელმა ერთი რომელიმე შვილი გამორჩეულად არ უნდა შეიყვაროსო... იქნებ მეგობრებზეც ვრცელდება ეს? მაგრამ ელდარი ხომ ამის საშუალებას თავად არ გვიტოვებდა?!. იქნებ, ღმერთმაც ამიტომ გამოარჩია იგი ჩვენი საძმოდან? ვინ იცის...

ვინ იცის, იქნებ სულ ზედმეტია ახლა ესოდენი მწუხარება და ცრემლთა დუღილი? იქნებ სიყვარულითა და მოყვასისათვის მარად დაუზარელი ზრუნვით გაბრწყინებული მისი სული კვლავაც თავს დაგვფოფინებს და ადრე თუ გვიან ისევ ერთად ვიქნებით?.. თუ ასეა (და ეს უსაზღვროდ მინდა მწამდეს!), მაშინ ხომ ბედნიერები ვყოფილვართ, მაგრამ მაინც რომ უმწეოა მოკვდავის არსება მწარე გრძნობათა მოსათოკად და დასაოკებლად?..

დარჩა მრავალზე მრავალი მოგონება და იქნებ შევძლო ოდესმე მათი ნაწილი მაინც გადავარჩინო დავიწყებას. ახლა კი გაგლეჯამდე მბორგავი გული არ მაძლევს მეტის თქმის საშუალებას... ისღა დამრჩენია, ძმის და მეგობრის ცხედართან გათეულ უკანასკნელ ღამეს დაწერილი ლექსით დავემშვიდობო ჩემს ელდარს. მისი საკადრისი სიტყვის თქმა კი იქნებ როდისმე და როგორმე შემაძლებინოს მამაზეციერმა, რათა ცოტათი მაინც მოვიოხო სნეული გული...

გულში უხანჯლოდ დამხანჯლე
ბალღივით ამაქვითინე...
რამდენიც უნდა გიტირო,
მაინც ვერ გამოგიტირებ...

ცუდ დროს გვიმუხთლა
სიკვდილმა,
დაგვცოფა იმ სასიკვდილემ...
აწი, რაც უნდა ვიბღავლო,
მაინც ვერ გამოგიტირებ...

სიმწრის ცრემლებით
დავთვერი,
სიმწრით თითები ვიტკვირე...
ასი წელიც რომ ვიცოცხლო,
მაინც ვერ გამოგიტირებ...

რა სატკივართან იომე,
ვაი, რა გული იტკინე...
მუხის კუბოში მწოლარეც
მკვდარი ვერ წარმოგიდგინე...

ვიცი, ეს გული საცაა
დედას მეც რომ ამიტირებს...
ზღვა დარდი, შენ რომ
გტანჯავდა,
ვერც მე ვერ მივასიკვდილე...

წახვედი, გაინაპირე,
ნიშნს გვიგებ
ცნობამიხდილებს...

ვერც გალმა შეგედავები,
ვერც როდის გამოგიტირებ...

თან მიგაქვს გული, უწყალოდ
გამოწურული მტევანი...
დასრულდა მოუსვენრობით
აღსავსე ღამისთევანი...

**იმედი ჯახუა**

## გამოსათხოვარი ელდარ კერძევაძეს

არ შეაწუხებს აწ არავის... კაკუნი კარზე
არ შეაწუხებს აწ აროდეს მეგობრებს შენსას...
სიფხიზლე იყო მარად შენი ქართული საზი
და უძილობა დაღლილ ტანზე ჯვალოსებრ გეცვა.

ხშირ-ხშირად პირში მოგვახლიდი სიმართლეს მწარეს,
ვინ რას ფიქრობდა, ხელისგულზე გეწერა თითქოს,
და ქვეყანაზე ტკბილზე მეტი თუმც მწარე ჰამე,
უკადრისს შენ არ აკადრებდი სალექსო სტრიქონს.

არ შეგიხედავს არასოდეს სხვის კარგზე შურით,
სხვისი ვარამი გაღონებდა, ისე, ვით შენი,
იყავი ერთი ამა სოფლის უბრალო მდგმური,
და მიათრევდი ულელს შენსას კაცური რწმენით.

„თავისუფლებას საქართველო მოიმკის ოდეს
თავისუფალი შევიქნებით ცალ-ცალკე ყველა", —
იტყოდი ხოლმე, დაიდგამდი სალხინოს კოდით,
და როგორც ჩიტმა წყალი შესვას, წრუპავდი ნელა.

საქართველოა უმეტესი, მიდიხარ სადაც
და სახელოვან წინაპართა რომ ნახო კრება,
უამბე წვრილად, სად ქართველმა გაუძლო ავდარს,
რაც თავს გადახდა, და ერთგულობს ის ქრისტეს მცნებას.

ღვთისმშობლის წილი ივერია აღსდგება ისევ,
გახსენი შუბლი, და ეახლე წინაპრებს ლხენით,
საქართველოში იყავ, ძმაო, გაჩენის ღირსი,
საქართველოში გაითხარა საფლავი შენი...

**მურმან ჯგუბურია**

## ელდარ კერძევაძე

### უველას, ვისაც ეკუთვნის

მიკვირს თქვენი
ხმა და ტონი
და წყალწყალა არაკები,
საქართველოს უპატრონოდ
რატომ ელაპარაკებით?

წადით, ნახეთ, თქვენი ტოლი,
თქვენი მზე და თქვენი ჩერო,
და გახსოვდეთ: უპატრონოდ
ხმა არ გასცეთ საქართველოს!

### ფრთხილად!

ახლა ყველამ
გამოიღო ხელი, —
ეს კარგია,
მაგრამ ძმებო,
ფრთხილად! —
იკაკანდა
ტიპი ჰკუათხელი
და საწყალი,
ვითა ლომი ბრძოლვინავს;
ერთხელაც არ გაუვლია ქარში
სა..ს ბრიყვულს,
...ამ, სიბრძნით მოსავს.
ამოთხვრილი დრუნჩი
სალაფავში
ლაშის არის
ზ..ოცის დროშას!
..კროფონთან
ვერ მიასწრებს კაცი.
დიდთან კნავის,
პატარასთან დიდობს.
ღმერთს მადლობა. —

დრო მოვიდა მკაცრი
გამოჩნდება ვინ-ვინ არის
დიდგორს.

### პირდაპირ სათქმელი

მიჭირს, რა თქმა უნდა, მიჭირს,
რადგან საქართველოს უჭირს,—
გამო — გასხვისებულ მიწის,
ფიცად ვერშეკრული მუჭის.
გამო — ნაცვლად ჩემი
დროშის
მოფრიალე სხვისი ჭინჭის,
გამო — ჭრელაჭრულა
დროში
ვერადმოსახმარი ნიჭის .
ძმას, რომ ძმობა ვერ
უგრძვნია,
რომ არა აქვს ძმობის ნიჭი, —
გასაძლისი არის ძნიად,
სწორედ, ამიტომაც მიჭირს.
გული მაინც ვერ გარიყავს
ნდომას ჰანიბალის ფიცის,
ვიცი, რაიც უნდა იყოს,
როდის უნდა იყოს —
ისიც!..

### ჟამი მოდგა

დრო წავიდა ლაქუცების,
დასმენის და დაშინების,
ჟამი მოდგა ქაქუცების
ანუ ჩოლოყაშვილების.
ჟამი მოდგა მერაბების,
ჟამი მოდგა ზვიადების,
ცაო, ამოფერადდები,
უფრო ამოშზიანდები.
ცა სიხარულს ველარ იტევს,
ზარი იგი —
რეკავს ციდან,
ჟამი მოდგა —
ჭეშმარიტი,
რომ აღსრულდეს —
ჭეშმარიტად!
ჟამი მოდგა —
სულთან სულის
შერწყმისა და ზიარების...
მიხარია, ღმერთი-რჯული,
ცოცხალი რომ ვიარები.

### მომენატრე, გაზაფხულო

გულო, დარდით გადახნულო,
შენს ჭრილობებს რა წაშლის...
მომენატრე, გაზაფხულო,
ახლა, —
შუა ზამთარში.

ვუცდი,
მაგრამ აღარ გალხვა
ზამთრის თეთრი ფერდები,
ისე მომენატრე ახლა, —
მგონი, მართლა ვბერდები.

### მოდგება ჟამი

მოთმენას უკვე ქანცი ეცლება,
ელვარებს რისხვა —
თმენით ნაჭედი,
ლექსის საწერად აღარ
მეცლება —
თუ საქართველოს მართლა
დავჭირდი!
მანამდე იმ ჟამს უნდა ველოდო,
როცა მთავარი ზარი დარეკავს
და ჩვენ აღვსდგებით, —
საქართველოდან
გადასარეკის
გადასარეკად!

### თებერვალი

აუშვიათ ქარები —
პირცეცხლა ნაგაზები
და შიშით კანკალებენ
ხეთა მკრთალი ხაზები.
ცა ჰგავს ოჯახს უქალოს, —
ღარიბი და მართალი,
გაზაფხულის მუქარამ
შეაშინა ზამთარი.
და ილება ბებერი
სევდის შავი კარები,
ოცდახუთი თებერვლის
ისმის გლოვის ზარები...
ღმერთმა ერთად შეგვყარა
ერია თუ ბერია,
ჰოდა, ჩემო ქვეყანავ
ნუღარ მოგიწყენია...

### მცირე ნუგეში

არ იყო, თურმე, მცირედიც
სიმართლე —
რაიც გვჭეროდა!
რა ლექსებს ვიზეპირებდით,
ან რა სიმღერებს ვმღეროდით...
სოციალიზმის ბელადებს
ტაშს ვუკრავდით და
ვღელავდით,
სავსე ვიყავით ყელამდე —
სიმართლის გარდა —
ყველაფრით!..
ნელ-ნელა წარსულს ბარდება
ჩვენი ცრემლი და გოდება.
რაც იყო, იყო... ჯანდაბას! —
აწ თუ არ გაწმეორდება...

### ჩემს ძაღლს ტუტანიტს

როცა უეცრად ქრება
ხალისი,
ათასი ფიქრი
დამშლის და დამღლის, —
ისე შემხედავ ხოლმე
..თვალებში. —
ან შენ ხარ კაცი,
ან მე ვარ ძაღლი.
ვისი სულია ეგ შენი სული?..
ვისი ბედია ეგ შენი ბედი?..
იქნება ერთი გვქონდა
წარსული,
სულო კეთილო,
მოსულო მკვდრეთით...
შენც გაქვს თვალები,
გული შენც გიცემს.
შენცა გაქვს შენი
ფიქრი და დარდი,
მებრალები და
მიყვარხარ ისე —
ან შენ ხარ კაცი,
ან მე ვარ ძაღლი...

### ჩემო ლექსებო — ჩემო შვილებო

ჩემო ლექსებო —
ჩემო შვილებო, —
..აუცმელებო,
..ეხშიშველებო,
..ღარიბეში
გამოზრდილებო, —
..ადიხართ მარტო გულის
ამარა.
..ემთან ტირიხართ,
..ემთან მღერიხართ,
..იდ-დიდ წიგნებში არა
წერიხართ.
საქართველოსაც არ
გასცდენიხართ.
არც კრიტიკოსთა გახლავთ
ამალა
..ხელისათვის
აურ-ზაურში —
.. დაგიკარგავთ
სინდის-ნამუსი,
..ზილ-პიპილა ტანისამოსის
..რ არ შეგყრიათ
ავადმყოფობა.
ჩემო შვილებო,
ჩემო კარგებო,
მე, მამათქვენი
შევსთხოვ განგებას —
როცა მიწაში ჩავიკარგები —
ნუღარ დაგტყობოდეთ
მამით ობლობა...




# ექსპერიმენტი

**გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნო“-ს გასული წლის მეათე ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მწერლის არკადი ავერჩენკოს მოთხრობა „ექსპერიმენტი“, რომელიც ამოღებულია ბერლინში 1925 წელს გამოცემულ მოთხრობათა კრებულიდან „სასაცილო საშინელში“.**

**მოთხრობაში სატირული ფორმითაა გადმოცემული კომუნისტებისათვის „საცდელი“ კომუნის შექმნის ამბავი, რომლითაც ნაწინასწარმეტყველებია საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების სამოცდაათწლიანი ისტორია.**

**ქვემოთ გთავაზობთ ამ მოთხრობას.**

**მთარგმნელი.**

**როცა** სახელმწიფო კაცს თავში რამე სახელმწიფო იდეა მოუვა, ყოველთვის არა აქვს იმისი დრო, რომ თვითონვე დაამუშაოს ამ პროექტის ყველა დეტალი.

ამისათვის არიან სპეციალისტები, რომელთაც უნდა იზრუნონ ყველა შავი სამუშაოს შესრულებაზე. ამიტომაც, მე იოტისოდენადაც არ გამკვირვებია, როცა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ სტამბოლიისკისაგან ამგვარი წერილი მივიღე:

„ძვირფასო არკადი ტიმოთეს ძევ! მე მაქვს პროექტი — მოვაწყოთ „საცდელი“ კომუნები კომუნისტებისათვის. ჩემი პროექტის მიხედვით ასე უნდა გავაკეთოთ: ავილოთ რომელიმე ადგილი, შემოვღობოთ იგი და შევუშვათ შიგ კომუნისტები, მივცეთ მათ მანქანები, ტანსაცმელი, სურსათი და ერთი წლის შემდეგ შევიხედოთ: აყვავდა თუ არა კომუნიზმი ასეთ იდეალურ პირობებში? აი, ჩემი აზრის მშრალი სქემა, გთხოვთ შეიმუშაოთ დეტალები“.

ჩავთვალე რა სტამბოლიისკის აზრი არცთუ სულელურად, ხოლო მომავალი დეტალების დამუშავება საინტერესოდ, მთლიანად ჩავეფალი საქმეში...

— მოყავთ, მოყავთ!

— ვინ მოყავთ?

— ვინ და კომუნისტები.

— რაო, ჩამოახრჩობენ, თუ?

— რატომ უნდა ჩამოახრჩონ, შე მართლა ხის თავიანო? ეს სტამბოლიისკის გადაყავს ისინი იდეალურ პირობებში.

— კი, მაგრამ, ეს ამხელა გალავანი რისთვისღა ააშენეს?

— რისთვის და, გარედან რომ არავინ დაინახოს. თანაც რომ არ გაიქცნენ.

— ნახეთ, ნახეთ, ბიჭებო, გალიაში კომუნისტებია!

— აბა როგორ, ყველაფერი გამოთვლილია. თითოეულ გალიას პირდაპირ კარებთან მიაყენებენ, შემდეგ ჰიშკარს გაალებენ ისე, რომ გვერდებზე პატარა ჭრილებიც არ დარჩეს, ასწევენ გისოსს და ისინიც შიგ შეხტებიან. გაქცევაც, სკანდალიც გამორიცხულია.

— ეს როგორ, ღმერთმანი, სტამბოლიისკის არ რცხვენია ხალხს რომ აწამებს?

— მომიტევეთ ქალბატონო, — აბა ეს რა წვალებაა?! პირიქით. სტამბოლიისკის უნდა ისინი იდეალურ პირობებში ამყოფოს. თანაც ისინი ხომ კომუნისტები არიან და ასეთი იდეალური კომუნისაგან აღფრთოვანებულნიც კი უნდა იყვნენ. ყველაფერი თავზე საყრელად ექნებათ — მოეწყვე გემოზე და აყვავდი!

— კი მაგრამ, ევენი ხომ ყელს გამოღადრავენ ერთმანეთს...

— ვინ, კომუნისტები? ჰმ, არ გცნობიათ თქვენ კომუნისტები, ქალბატონო. ეს ხომ ნამდვილი ძმობაა დედამიწაზე — როგორც სამოთხეში, ისე იცხოვრებენ!

როცა პირველ გალიას სცილდნენ კომუნისტებისაგან, მოხდა ინციდენტი, რომელიც შეგეძლოთ დაგენახათ გისოსიდან: ერთმა ზორბა ყმაწვილმა გალიაში მისწი-მოსწია სხვები — ზოგს კისერში წამოარტყა, ზოგი წააქცია კიდეც და როგორც კი ჰიშკარში შევარდა, დაიყვირა:

— შეჩერდით, ამხანაგებო! მე ვიქნები სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

— რა უფლებით? — ეწყინა ერთ-ერთ კომუნისტს.

— რა უფლებით და... ერთი ამოგილია კიდევ ხმა. იცი, რა მოგივა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის? ამხანაგებო! გთხოვთ ჩემთან გაიაროთ რეგისტრაცია. დარღვევებისათვის — საზოგადოებრივი სამუშაო და იატაკის რეცხვა ყაზარმებში.

საღამოსთვის ცნობისმოყვარე, ჩაფიქრებული ბრბო ნელ-ნელა დაიშალა.

მეორე დღეს ერთმა გამვლელმა გალავნის გარეთა მხარეს, ქუჩაში, იპოვა ქვაზე შემოხვეული წერწერა:

„ამხანაგო სტამბოლიისკი! თქვენ ამბობდით, რომ მოგვცემდით ყველაფერს, რომ არაფერი გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მოგვატყუეთ. სად არის იარაღი? როგორ დაიცვას სახალხო კომისართა საბჭომ წესრიგი? გამოგვიგზავნეთ სასწრაფოდ“.

გაუგზავნეს იარაღი და ღამით, შემთხვევით გამვლელებს, შეეძლოთ მოესმინათ, რომ გაგზავნილი იარაღი მართლაც რომ აუცილებელი იყო. გალავნის ერთი კედელი მთლიანად გაწითლდა.

მეორე წერილი, რომელიც ერთი თვის შემდეგ იქნა გადაგდებული ქუჩაში, მთლად განწირული შინაარსისა იყო:

„არ გვყოფნის კარაქი და პროდუქტი. ჩვენ გავატრესტეთ მრეწველობა და გავასოციალისტურეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები — და მაინც არ გვეყო! ეს მიგვაჩნია მოტყუებად თქვენი მხრიდან. გამოგვიგზავნეთ კიდევ! დიდი მოთხოვნილებაა საკრედიტო ბილეთების მბეჭდავ მანქანაზე (ძველები გაცვდა) და რულეტის მანქანაზე. გვინდა სახელმწიფოებრივი მეთოდებით ჩავაყენოთ აზარტი კალაპოტში“.

მიუხედავად იმისა, რომ წერილის ავტორს სტამბოლიისკიმ არაფერი უპასუხა, ერთი თვის მერე მეორე წერილს მესამეც მოჰყვა:

„არ გვყოფნის ხალხი! ადამიანთა მასალა გვეხარჯება, რეზერვი კი არაა. თუ შეიძლება, გამოგვიგზავნეთ უფრო მეტი ბურჟუაზია. ამხანაგმა კომუნისტებმა დაიტაცეს სამეთაურო თანამდებობები და ვის ვუმეთაუროთ, არ ვიცით. არც მუშები გვყოფნის. ბურჟუაზიასთან ერთად გამოგვიგზავნეთ ტყვიები იმ შემთხვევისათვის, თუ ბურჟუაზიული საბოტაჟი დაგვემუქრება. ბურჟუაზიამ თუ უარი თქვა ჩვენთან წამოსვლაზე, მაშინ დაიჭირეთ ისინი რაც შეიძლება ბევრი და გამოგვიგზავნეთ.

კომუნისტური სალმით, სახალხო კომისართა საბჭო“.

მეოთხე, ბოლო წერილი სულ სამ სიტყვას შეიცავდა:

„დაბეჯითებით ვითხოვთ ინტერვენციას“.

გავიდა ერთი წელი.

ერთხელ სტამბოლიისკის უეცრად მოაგონდა საცდელი კომუნის ამბავი და თქვა:

— ნეტავ როგორაა ჩემი კომუნა? მოიწვიეთ საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, საინტერესოა იქ წასვლა და ნახვა, თუ რა ხდება შიგ...

წავიდნენ.

როცა ჰიშკარს მიადგნენ, კომუნის შიგნით სიწყნარე იყო...

— გააღეთ ჰიშკარი!

ვერ მოასწრეს ბოლომდე ჰიშკრის გაღება, რომ შიგნიდან გამოხტა შიშისაგან სახეშეშლილი კაცი და მინდვრისკენ გაიქცა საზარელი ყვირილით:

— გარადავოი, გარადავოი!..

მას გამოეკიდა მეორე, რომელსაც ხელში დანა ეჭირა და პირველს უყვიროდა:

— შეჩერდი სულელო! სად მიდიხარ? მე მხოლოდ პატარა ნაჭერი მინდა, რა, გენანება მარჯვენა ხელი, თუ რა?

ორივე დაიჭირეს.

— სად მირბოდით? ეს ვინღა მოგდევდათ.

— ეს საზღვაო და სახმელეთო ჯარების მხედართმთავარია. ჩემი შეჭმა უნდოდა.

— რა, შეშლილია?

— შეშლილი არა... საჭმელი არაფერი გვქონდა!

— კი მაგრამ, რა იქნა თქვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა? პროდუქტები?

— წადით და ეძებეთ [illegible] სოციალისტურეთ, შემდეგ ნაციონალიზაცია მოვახდინეთ, შემდეგ კი გავატრესტეთ. ასე შემოგვეჭამა ყველაფერი.

— დანარჩენები სადღა არიან?

— მხოლოდ ორნი დავრჩით. მესამე დღეა, რაც სურსათის განაწილების კომიტეტის თავმჯდომარით ვისადილეთ — ბოლო შევჭამეთ.

— ჰიშკართან რატომაა ასეთი სიმყრალე?

— ასენიზაცია არ გვქონდა. ყველა თავმჯდომარე გახდა და ქალაქს ვინ გაწმენდდა?

სტამბოლიისკიმ ცხვირზე სუნამონაპკური ცხვირსახოცი მიიდო, რომელიც ერთმა გულმოწყალე ქალბატონმა მიაწოდა და თავის ქნევით, ჩაფიქრებულმა თქვა:

— რა უბრალო იდეა იყო — მოვეწყო საცდელი კომუნა, თანაც ხომ მხოლოდ მე მომივიდა თავში ეს აზრი. დაკეტეთ ჰიშკარი, ტიფი არ შეგვეყაროს.

ავტორისაგან:

— ვიმედოვნებ, ჩემი ძვირფასი მკითხველი დამეთანხმება იმაში, რომ სტამბოლიისკის იდეის დეტალები ჩემს მიერ სრულიად სწორადაა დამუშავებული.

თარგმნა
**სერგო ჯანაშიამ.**



# „არ გათეთრდების ყორანი...“

**დღეს**, როცა სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით „საკავშირო“ საინფორმაციო [illegible] ლებები ერთმანეთს ეჯიბრებიან [illegible] ტენდენციური, ანტიქართული მასალების გავრცელებაში, ელემენტარულად ობიექტური პუბლიკაცია, გამოსვლაც კი, ფართო, შეიძლება ითქვას, მადლიერ გამოძახილს პოულობს ჩვენში (აქვე უნდა ითქვას, [illegible] ტენდენციური პუბლიკაციების [illegible] ხშირად აღშფოთებასთან [illegible] გულისტკივილი, გაკვირვება [illegible] მოითქმება — ამეებს როგორ [illegible], როგორ გადასცემენო? არა [illegible] საკვირი არაფერია: კრემლის [illegible] — რომელიც აშკარად აქეზებს [illegible] ეხმარება ოს ექსტრემისტებს — [illegible] სა საინფორმაციო (სადეზინფორმაციო) საშუალებებისაგან ობიექტურობას რატომ უნდა ელოდო? გასაკვირი ის იქნებოდა, პირიქით რომ [illegible] ყოფილიყო).

ამგვარი, მადლიერი გამოხმაურება ხვდა წილად რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე „სამხრეთ ოსეთის“ ამბების გამო შექმნილი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის — დეპუტატ სოროკინის გამოსვლას.

ეს გამოსვლა ორჯერ იქნა ნაჩვენები საქართველოს ტელევიზიით, მისი ჩანაწერი გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ (19/II-1991 წ.).

სოროკინის სიტყვა მართლაც „სინათლის სხივია სიცრუის წყვდიადში“, მასში ობიექტურად არის მოცემული სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენების მიზეზი, ნაჩვენებია, რომ აქ შეუდარებლად უკეთ ცხოვრობენ ოსები, შეუდარებლად უკეთაა დაცული მათი ენა, კულტურა, ვიდრე ნამდვილ (ე. წ. „ჩრდილოეთ“) ოსეთში.

მაგრამ... არის ერთი „მაგრამ“.

ჩვენში ბევრს ისეთი წარმოდგენა, განწყობილება შეექმნა, თითქოს რუსეთის უზენაეს საბჭოში საღმა აზრმა გაიმარჯვა, თითქოს აქ მაინც ეწოდა საგნებს თავისი სახელი.

მაგრამ ეს სულაც არაა ასე. სამწუხაროდ, როგორღაც ყურადღების, შეფასების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ კომისიის „თავმჯდომარის აღნიშნულ ინფორმაცია-შეფასებას ლოგიკური განვითარება არ მოჰყვა რუსეთის პარლამენტში, უფრო მეტიც, რომ სწორედ სოროკინის სწორი გამოსვლის შემდეგ იქნა მიღებული ერთობ „უსწორო“ დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ეროვნებათა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს მიმართოს წინადადებით, გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის პროდუქტებით, გათბობით, წყლითა და მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად. რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შესთავაზოს დააჩქაროს პირდაპირი მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. აგრეთვე, გადაწყდა მიმართონ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი ამ რეგიონში ვითარების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“ („7 დღე“, 15/II, 1991 წ.).

როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ამგვარი დადგენილებით რუსეთი **უხეშად ერევა სუვერენული რესპუბლიკის** — საქართველოს საშინაო საქმეებში. თავი დავანებოთ იმას, რომ ერთი რესპუბლიკის პარლამენტი რატომღაც უფლებას აძლევს თავს მიიღოს დადგენილება მეორე რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით. უფრო „საინტერესოა“ მოწოდება, რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჩქაროს პირდაპირი მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

ერთი ვიკითხოთ, კი, მაგრამ, რუსეთმა **რატომ, რა უფლების ძალით უნდა** აწარმოოს მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასთან **საქართველოს ტერიტორიაზე** „ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის“?! **რუ ხეთი რა შუაშია? რატომ ინაწილებს „მომწესრიგებლის“ მისიას? კაცს ეგონება, ორი სახელმწიფოს სასაზღვრო კონფლიქტს ეხებოდეს საქმე და არა, ვიმეორებ, სხვა ქვეყნის „რეგიონში“ არსებულ ვითარებას.**

ყველა ამ კითხვაზე ერთი პასუხი არსებობს: რუსეთი, უფრო სწორად, მისი უზენაესი საბჭოს „აგრესიულად არამორჩილი უმრავლესობა“ იმ „შუაშია“, რომ **ვერ ელევა** ხელს **არ იღებს ტრადიციული ველიკორუსული, „მესიანისტური“** ანუ **დერჟავნიკული პოლიტიკისაგან!...**

და კიდევ ერთი — როგორც ვიგებთ, ჩრდილოელ „მშვიდობისმაძიებლებს“ გადაუწყვეტიათ, მიმართონ გორბაჩოვს „განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი ამ რეგიონში ვითარების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად“.

დავიჯეროთ, არ იციან, თუ როგორ, მისთვის ჩვეულ (თბილის-ბაქოს-ბურ-ვილნიუსურ) „ღონისძიებებს“ განახორციელებს „[illegible] თის რეგიონში“ **„წითელი პრე[illegible]ნტი“**, მათი ეს მიმართვა რომ [illegible]რად ილოს?!

**რომ იციან, სწორედ ამიტომაც მიმართავენო!** — იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება.

ჭეშმარიტად, „არ გათეთრდების ყორანი“!

**ფელიქს კოჭიაშვილი**

# ხვალ რა ვქნათ?!

## გოჩა აბუთიძე

ჩემი პუბლიკაციის „რაჭა“ რაჭის წინააღმდეგ“ ძირითადი არსი საზოგადოება „რაჭის“ გამგეობის წევრებს კარგად ვერ გაუგიათ. იძულებული ვხდები მოკლედ შევეხო იმ საკითხებს მაინც, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამდენად, პირადად ჩემს დაუმსახურებელ ლანძღვაზე შევეცდები ხმაც არ ამოვიღო, რადგან ჩემი პიროვნება თავისთავად ვერც ვერაფერს შემატებს და ვერც ვერაფერს დააკლებს საზოგადოება „რაჭას“.

გასულ წელს ამბროლაურის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა ორი „თბილისელი რაჭველის“, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატების ერთობლივი წერილი: „გვჭირდება თუ არა შაორის წყალსაცავი?“ სადაც ავტორები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ ნამდვილად გვჭირდება შაორის წყალსაცავი.

ეს წერილი გავაკრიტიკე. გეოგრაფებს კი გამოექომაგათ, არც მეტი, არც ნაკლები, — საზოგადოება „რაჭის“ თანათავმჯდომარე. ყველაფერ ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ „რაჭის“ მესვეურები ახლა ძალიან გაკვირვებულნი არიან „სად წაიკითხა, ან ყური მაინც სად მოჰკრა გ. აბუთიძემ“, რომ ჩვენ ამ წყალსაცავის დაშრობის მოწინააღმდეგენი ვართო...

არადა, ესენი მართლა გულუბრყვილონი არ გეგონოთ. ჩვენ თვალებში ნაცარს გვაყრიან, ხელოვნურად დაგუბებულ წყალსაცავს ტბას ეძახიან, თვითონ კი ხითხითებენ: ჯერ აქ რაიმე მშენებლობა დავიწყოთ და მერე ნახავთ ვინც დაგაშრობინებთ შაორის წყალსაცავსო.

ვწერდი, „რაჭის“ გამგეობის წევრები ლეჩხუმელებს სოფლიდან აყრას და „უკეთეს ადგილებში“ ჩასახლებას ჩასჩიჩინებენ-მეთქი. ამის გამო „რაჭის“ გამგეობას სიბრაზისაგან წონასწორობა დაუკარგავს: „სწორედ რომ გამაოგნებელი ცილისწამებაა... სად წაიკითხა, ან ყური მაინც სად მოჰკრა ასეთ რამეს გ. აბუთიძემ?“

რა ვქნა, საზოგადოება „რაჭის“ გამგეობის წევრები „გაოგნებულები“ არიან და ისევ მე მოვუძებნი მათივე თანათავმჯდომარის სულ ახლახან გამომცემლობა „მეცნიერების“ მიერ 18 ათასიანი ტირაჟით გამოცემულ წიგნს, — „იქ სადაც იბადება რიონი“, რომელიც ახლაც იყიდება თითქმის ყველა წიგნის მაღაზიაში, გადავუშლი 62-ე გვერდზე და წავუკითხავ თვით ანგელოზის შემაცდენელი სიტყვებით, როგორ უქებს ავტორი ლეჩხუმელებს ახალ სამოსახლოებს:

„ლეჩხუმელებო, თქვენნაირი გამრჯე ადამიანები სჭირდება იქაურობას. ბარი და მთა ისე შეზავებულა, შეხმატკბილებულა, ცადატყორცნილი მწვერვალების დაშორებას ვერც იგრძნობთ, ხოლო ბარის ჯველა სიკეთეს მიიღებთ“.

თუ ესეც არ იკმარეს, მაშინ იმასაც გავახსენებთ მათ, რაც ლეჩხუმში აცუნცულებულებმა, უკაცრავად, — ვერტმფრენით ჩაბრძანებულებმა იქ „იმამულიშვილეს“...

„რაჭის“ გამგეობის წევრებს განსაკუთრებული მადა მაშინ ეხსნებათ, როცა თავიანთი გარჯით ვითომ უკვე გაკეთებული საქმეების ჩამოთვლას შეუდგებიან ხოლმე. მქონდა შესაძლებლობა მათი ცრუპენტელობა არა ერთხელ მემხილებინა და ახლა მათზე აღარ შევჩერდები, ოღონდ ამ ბოლო წერილში კიდევ ერთი საქმის გაკეთება მიიწერეს, და ჩვენთვის თვალებში ნაცრის შეყრის მცდელობისთვის, იძულებული ვარ ორიოდე სიტყვა ვთქვა.

„ხომ დაიწყო საზოგადოებამ დედაქალაქში შეგროვილი სახსრებით სოფლების გაზიფიკაცია?“

არ დაუწყია.

არ მიჯერებთ?

ნახეთ 1989 წლის 2 სექტემბრის „ახალგაზრდა კომუნისტი“. იქ საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის 6 პასუხისმგებელი თანამშრომელი წერს:

„8 მილიონი მანეთის მშენებლობის სახსრები საკავშირო სამინისტრომ გაიღო... ამჟამად, გაზიფიკაციის სამუშაოები მიმდინარეობს თვით ამბროლაურში. დამუშავებულია გაზმომარაგების პროექტები ამბროლაურის რაიონის შემდეგი სოფლებისათვის: ხოტევი, თლუღი, ჭელიაღელე, აგარა, უყეში, ნიკორწმინდა, ლიხეთი. მომავალში მათ რიცხვს სხვებიც შემატება“.

როცა ეს სტრიქონები იწერებოდა საზოგადოება „რაჭის“ სახსენებელიც კი არ იყო, არადა, რა რიხით გაიძახიან: „ხომ დაიწყო საზოგადოებამ დედაქალაქში შეგროვილი სახსრებით სოფლების გაზიფიკაცია?“

ერთი ვრცელი ამონაწერიც „რაჭის“ გამგეობის წერილიდან:

„რაჭის გამგეობა „პრიმიტიულ ქველმოქმედებაზე“ უარს ამბობს და აცხადებს „რთული ქველმოქმედება“ გვწადიაო — დაგვცინის გ. აბუთიძე.

სტატიაში, რომელზეც ის მიუთითებს, ვერსად ვერ ვნახავთ „რთული ქველმოქმედების“ შესახებ გამოთქმას. იგი მთლიანად გ. აბუთიძის ფანტაზიის ნაყოფია. აბა რა ქნას, ხომ უნდა გამოიგონოს დაცინვის საბაბი?

რაც შეეხება „მარტივ ქველმოქმედების“ ტერმინს, ჩვენ მართლაც ვიხმარეთ იგი“.

ჯერ ერთი, საზოგადოების თავმჯდომარე ალკაზარ კაციტაძე, კიდევ ერთხელ გვაყრის თვალებში ნაცარს; სტატიაში, რომელზეც მე და ის მივანიშნებთ და რომელიც ალკაზარ კაციტაძის ხელმოწერით გამოქვეყნდა ამბროლაურის რაიონულ გაზეთში, სწორედ ტერმინი „პრიმიტიული ქველმოქმედებაა“ ნახმარი და არა „მარტივი ქველმოქმედება“, მაგრამ ეს არაფერი. ახლა ვნახოთ, რა გამომიგონებია მე მისი დაცინვის საბაბით.

საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უარს ამბობს „პრიმიტიულ ქველმოქმედებაზე“. ე. ი. თავმჯდომარემ უარი განაცხადა არა მთლიანად ქველმოქმედებაზე, არამედ მის ერთ-ერთ სახეობაზე, კერძოდ, „პრიმიტიულ ქველმოქმედებაზე“, რადგანაც მე ქველმოქმედების კლასიფიკაცია მაინცდამაინც კარგად არ ვიცი, ვიფიქრე ალბათ ბატონი ალკაზარი „რთული ქველმოქმედების“ მომხრეა-მეთქი. თუ არსებობს „პრიმიტიული“ ან თუნდაც „მარტივი“ ქველმოქმედება, ბუნებრივია უნდა არსებობდეს ან „რთული“ ან „გავრცობილი“ ან რაღაც სხვა ქველმოქმედებაც. მაგრამ ამან გაანაწყენა ა. კაციტაძე, ტერმინს „რთული ქველმოქმედება“ ჩემი დაცინვის საბაბით იგონებსო. არადა, თვითონაც რომ არ არქმევს სახელს იმ ქველმოქმედების სახეობას, რომელსაც ის უჭერს მხარს?

ისე გულწრფელად რომ ვთქვა, ამ ჯერჯერობით სახელდაურქმეველ „ქველმოქმედებას“, მეშინია მერე ვინმემ სხვა რაღაც ცუდი სახელი არ დაარქვას...

სხვა საკითხებს ახლა აღარ შევეხები, რადგან უბრალოდ გადმოწერა მომიწევს ჩემივე წერილისა „რაჭა“ რაჭის წინააღმდეგ“, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელის“ გასული წლის ერთ-ერთი ნომრის სარედაქციო წერილშიც მწვავედ იყო გაკრიტიკებული საზოგადოების „რეგიონალურობა“.

მაშინდელი ინფორმაცია ის იყო, რომ ცალკეული სოფლებიდან თბილისში წამოსულნი, თავისივე სოფლებისათვის ქმნიდნენ საქველმოქმედო საზოგადოებებს. მერე გაირკვა, თურმე, სოფლის ცალკეული უბნების წარმომადგენლებიც თავიანთი უბნებისათვის ცალ-ცალკე ქმნიან ანალოგიურ საზოგადოებებს.

ამას წინათ ერთი ნაცნობი შემხვდა, მინისტრთა საბჭოსკენ მიდიოდა, — მე ჩემთვის ცალკე უნდა შევქმნა საქველმოქმედო საზოგადოებაო...

და იქმნება საზოგადოებები, ასოციაციები, ფონდები... იწერება წერილები, განცხადებები, თხოვნები... ვეძებთ სპონსორებს, ქველმოქმედებს... დახმარებას ვითხოვთ გაზეთით, ტელევიზიით, რადიოთი...

იქმნება საზოგადოებები: „რაჭა“, „სვანეთი“, „ჰოპორტი“, „ბანძა“... იქმნება ასოციაციები: ეჭიმთა, ვექილთა, მემაწვნეთა, მეხაჭაპურეთა... იქმნება ფონდები მუსიკალურად მსტვინავთა ხელშესაწყობად, სასურსათო ტალონებდაკარგულთა დასახმარებლად, მერე ეს ფონდი იყოფა მაკარონის ტალონდაკარგულთად და ბურღულის ტალონებდაკარგულთად და ა. შ. და ა. შ.

- დღემდე, ასე თუ ისე, ყველას გაგვაქვს თავი.

მაგრამ ხვალ?

ხვალ რა ვქნათ?

ამათ იმედზე ყოფნას აპირებს სახელმწიფო?

ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე ჩვენს წინაშე [illegible] ერთი პრობლემა [illegible] ვერ გადაიჭრება, მაგრამ არც [illegible] მთავრობას აქვს იმის უფლება, რომ თვითდინებაზე მიუშვას ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს ის მექანიზმები ხომ მაინც უნდა შემუშავდეს, რომელიც დღეს თუ არა ხვალ წელში გაგვმართავს?

ასე მომრავლებული სხვადასხვა საზოგადოებების, ასოციაციების, ფონდების... ფონზე, ჩვენი დუმილი ხომ არ ნიშნავს, რომ მართლა გვწამს ასეთი გზით რაიმე სერიოზული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა?

დღეს საქართველო იმ დაზიანებულ გემს გავს, რომლის მეზღვაურები იმის ნაცვლად, რომ გემი შეაკეთონ, თავიანთ პერანგებს აფრებად ჰკიდებენ და ჰგონიათ გემს წინ წაიყვანენ.

ვისი პერანგია გახეული და აფრად არ გამოდგება, ან ვინ ცდილობს ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას ეს შემდეგაც გაირკვევა. ახლა კი, სასწრაფოდ უნდა შეკეთდეს გემი, რომ სრული სვლით ვიაროთ.

მინაწერი:

ჩემს წერილში „რაჭა“ რაჭის წინააღმდეგ“ ვწერდი: „საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ და მისი მსგავსი საზოგადოებები შირმაა პარტოკრატიის. ისეთივე შირმის ქვეშ დამალვას ცდილობს დღეს კლეპტოკრატიაც“. უნდა დავამატო: პარტოკრატია და კლეპტოკრატია ყველა შესაძლებლობის გამოყენებით ცდილობს ასეთი შირმის ქვეშაც მარტო არ დარჩეს.

რაღა თქმა უნდა, მათთვის გაცილებით მომგებიანია, თუ ერთიორი ნამდვილად სახელმოხვეჭილი ან პატიოსანი პიროვნების სახელით სპეკულაციას შესძლებენ, — ნახეთ, ვინ დგას ჩვენს გვერდითო და თავიანთი ქვენა ზრახვების ასრულებისას კი, ამ პიროვნებებს გვერდს მოხერხებულად უვლიან.

„რაჭის“ მაგალითზე ვიტყვი: რამდენი მართლაც პატიოსანი და სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული პიროვნებაა თუნდაც მის გამგეობაშიც, — ცნობილ კინომსახიობ ზურაბ ქაფიანიძით დაწყებული საზოგადოების რიგითი წევრებით გათავებული. — ხოლო ჩარხს მაინც კაციტაძეები და მისი მსგავსები ატრიალებენ .

ჩემი აზრით, ყველა ქართველისათვის დადგა დრო, როცა მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, თუ რას ვაკეთებთ, არამედ იმასაც, თუ სად ვდგავართ.

# ...მაგალითად, ვლადიმერ ალფენიძეს

პროლოგი

წინასწარგანმჭვრეტელობისა ზოგს არ სჯერა. ზოგიც მთელ ცხოვრებას მიანდობს ხოლმე ალღოიან მკითხავებს.

ის, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ, არც ვანგასეული განთქმული მარჩიელობაა, და არც უბრალო ინტუიციური გამართლება... იგი, არც მეტი, არც ნაკლები, წინასწარმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს. ამისათვის კი ახლო წარსულის პატარა სცენის აღდგენა დაგვჭირდება...

. მაშ ასე: ქუთაისი. ძველი არაფორმალის გოგი რევიშვილის ბინა. სტუმრად ვიმყოფებით — ზვიად გამსახურდია, მისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე და რამდენიმე „დისიდენტი“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ ეროვნული მოძრაობის მეჩხერ წარმომადგენლებს).

ხანგამოშვებით ტელეფონი წკრიალებს. მრავალმნიშვნელოვნად დუმს „ინკოგნიტო“ მრეკავი — ამგვარი შეკრებების თანამდევი.

— ისინი იქნებიან, წყეულები, თავს გვახსენებენ... — ჩვეული სიმშვიდით ამბობს უშიშროების კომიტეტის მისამართით ბატონი ზვიადი და სახსვათაშორისოდ დაწყებულ საუბარს აგრძელებს, — მალე ჩაილურის წყალს დალევს ეს ხელისუფლება. ერთი საცოდავი გაზეთიღა დარჩებათ... ჰოდა, დაინიშნავენ მერე კომუნისტები რედაქტორად, მაგალითად... ვლადიმერ ალფენიძეს...

ისევ ელერს ტელეფონის ზარი მონოტონურად. საუბარი გრძელდება. ყურმილს აღარავინ იღებს. იქ მყოფთაგან ყველა მეტ-ნაკლებად მიჩვეულია სუკ-ის ამგვარ „ყურადღებას“.

ჯერ მხოლოდ 1988 წლის დამდეგია და კიდევ ბევრი წყალია ჩასავლელი...

ეპილოგი

მე მაშინ არ ვიცნობდი კომუნისტების ამ მარადრჩეულ პიროვნებას — ლადო ალფენიძეს, და ბატონი ზვიადის ის უწყინარი ვარაუდიც სამუდამოდ დამავიწყდებოდა, მაგრამ... გავიდა სამიოდე წელი და „უწყინარი ვარაუდი“ რამდენად ზუსტად ახდა, ყველას კარგად მოგვეხსენება.

ლ. ალფენიძის შესაძლებლობები იმთავითვე ზუსტად შეფასდა. განწირული კომპარტიის გადასარჩენ პოსტს მის გარდა კაცი არ დათანხმდებოდა.

იქნებ ასეც იყო ნავარაუდევი იმ სახსვათაშორისოდ ნათქვამ ფრაზაში?

ლელა კოდალაშვილი



ეს ფოტო სწორედ იმ დღესაა გადაღებული გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან.

# ქველმოქმედება

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოს სახალხო ფრონტში მოქმედებს შტაბი, რომელიც მოსახლეობისაგან შემოწირულობის სახით ღებულობს სხვადასხვა საქონელს და მას სამაჩაბლოს ქართველებს უგზავნის.

ადამიანის უკეთილშობილეს საქმიანობაში, რასაც ქველმოქმედება ეწოდება, ძნელია ვინმეს გამოყოფა, რადგან გაჭირვებული მოძმისათვის გაღებული უმცირესი წვლილი თავისთავადაა უდიდესი სიკეთე. მაგრამ მაინც, შეუძლებელია არ ვახსენოთ თბილისის 23-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი (დირექტორი მედეა გრიგოლია), რომელმაც უამრავი დასახელების პროდუქტი გაუგზავნა ქართველ ბავშვებს; ანდა 53-ე სკოლის მერვე და მეცხრე კლასელი მოსწავლეები, რომლებიც საკუთარი ტანისამოსით დაეხმარნენ თანატოლებს. ამ დღეებში შტაბმა 5 ათასი მანეთის ტანსაცმელი მიიღო „თბილქალაქპროექტის“ კოლექტივისაგან (დირექტორი ვლ. ქურთიშვილი), რომლებსაც განზრახული აქვთ კიდევ ერთი ამდენის შეძენა.

მადლობას ვწირავთ იმ ადამიანებს, რომლებმაც გულთან მიიტანეს მოძმის გასაჭირი და მორალურ მხარდაჭერასთან ერთად ნივთიერადაც ეხმარებიან სამაჩაბლოს ქართველებს.

18

— **პატივცემულო** პარტიიდან გამრიცხავი კომისიის წევრებო, — განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ, — ჩვენს წინაშე ისევ არცთუ ადვილი ამოცანა დგას: უნდა შევაფასოთ ჩვენი მორიგი კანდიდატის პიროვნება და გადავწყვიტოთ, ღირსია თუ არა, რომ გაირიცხოს სკკპ რიგებიდან.

აი, მისი განცხადება: „გთხოვთ გამრიცხოთ სკკპ რიგებიდან. პირობას ვიძლევი, რომ ჩემი შრომით გავამართლებ ნდობას".

— დახასიათება ჩაიკითხეთ! — მოითხოვა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა დემოკრატიულად მბრძანებლური ხმით.

სანიმუშო დახასიათება იყო:

„პარტიაში ყოფნის წლებში კანდიდატმა თავი წარმოაჩინა პატიოსან და წესიერ ადამიანად. კულუარებში გამუდმებით ჰყვებოდა ანეკდოტებს კომუნისტებზე. მასხრად იგდებდა ცეკას წევრებს. თამბაქოს მოსაწევ ოთახში სამჯერ მოწმეთა დასწრებით ყური მოქაჩა ჩერნენკოს ბიუსტს. მას ბევრი სხვა დამსახურებაც აქვს დღევანდელი დემოკრატიის წინაშე".

დახასიათებას ერთვოდა ერთი უცხოეთში წასული დისიდენტის დახასიათება, ორი — ყოფილი პოლიტპატიმრებისა და სამიც — 1917 წლიდან უპარტიო მოქალაქეებისა.

კანდიდატი შესამჩნევად ღელავდა, გრძნობდა რა, თუ როგორ თვალმიცქიებით უყურებდნენ მას კომისიის წევრები. ოღონდ ახლა არ გამოჩნდებოდეს ვინმე თავგამოდებული დემოკრატი, ვინც რამეს ჩაეჭიდება და ყველაფერს გააფუჭებს. ამასწინათ სამი პარტიული ჩააფლავეს: არ გააგდეს; ორს კი გამოსაცდელი ვადა მისცეს. ისიც რომ არ გარიცხონ... ეს თავის მოჭრა იქნება. ცოლს სამსახურში აბუჩად აიგდებენ, შვილებს კი მარქსისტებს შეარქმევენ.

— რაო, ვუყაროთ კენჭი? — იკითხა თავმჯდომარემ, — მე ის შემიძლია დავძინო, რომ ჩვენი კანდიდატი დიდი ხანია საზოგადოებრივ-უპარტიო დატვირთვას ატარებს და ჩვენი მორიგი ყრილობის შესახვედრად წითელი კუთხის განადგურებაშიც კი მიიღო მონაწილეობა. პირადად მან ამოკაწრა თვალები კომუნისტური შრომის მოწინავეთა ფოტოსურათებს. უკვე მხოლოდ ამ საქციელითაც კი ჩანს, თუ როგორი ადამიანია ის!

— ჩემის აზრით კი კენჭისყრა ადრეა, — შეაწყვეტინა თავმჯდომარეს საუბარი ისევ იმ მბრძანებლურმა ხმამ. — ჩვენ უკვე გასულ კვირას გავრიცხეთ ორნი, ისინი კი მიჩურინის ძეგლის აღების შაბათობაზეც კი არ მოსულან. წინადადება შემომაქვს ისინი სერიოზულად დავსაჯოთ — დაუყოვნებლივ მივაბრუნოთ პარტიაში. თანაც პარტიიდან გასვლის უფლების ჩამორთმევით.

— სწორია! — მხარი დაუჭირა მკერდზე დეპუტატის ნიშნიანმა ქალმა. — ჩვენ არა გვაქვს უფლება დავანაგვიანოთ ჩვენი უპარტიოების სუფთა რიგები. ჯერ ბოლომდე უნდა გავერკვეთ კანდიდატის წარსულში. შემოსულია ცნობები, რომ ის ჰაბუკობისას გუნდში მღეროდა სიმღერას „ო, რა კარგია შენი ყოლა, პარტიავ ჩვენო!"

— ადამიანზე მისი წარსულით მსჯელობა არ შეიძლება! — გამოესარჩლა კანდიდატს ვიღაც. — ადამიანს თავის სიცოცხლეში რამდენჯერმე შეუძლია მრწამსის გამოცვლა, ამხანაგებო!

# გარიცხვა

## მიხეილ ზადორნოვი

— რაო?! „ამხანაგებოს" გამო თქვენ თვითონაც ალსადგენი ხართ პარტიაში!

— მე თქვენ აღგადგენთ! ბებიაჩემი არისტოკრატი გახლდათ. მარკიზას სისხლი მიდგას ძარღვებში.

— მერე რა! ბაბუაჩემიც გრაფი იყო!

— ბაბუაშენი თხა იყო და არა გრაფი, ამას მე, როგორც მარკიზა, გელაპარაკებით!

— მე კი, როგორც გრაფი, იცით, რას გეტყვით?!

კომისიის წევრები დემოკრატიული გალალებით აყაყანდნენ.

— ბატონებო! ბატონებო! — თავმჯდომარემ იატაკზე დაახეთქა წყლიანი გრაფინი და ბატონები მყისვე გაჩუმდნენ.

— პატივცემულო ქაბლატონებო და ბატონებო! ლედებო, მარკიზებო, გრაფინიებო... რაკი მოსაზრებები გაიყო, წინადადება შემომაქვს კანდიდატს გასაუბრება ჩავუტაროთ.

კანდიდატი გაფითრდა. გასაუბრებაზე ნებისმიერი ვინმე შეიძლებოდა ჩაფლავებულიყო. მეორეჯერ კი გარიცხვის რიგში ჩადგომა გაცილებით უფრო ძნელი იყო.... მით უფრო ახლა, როცა ზემოდან იყო დაშვებული უმკაცრესი გარიცხვის ლიმიტი, რომლის თანახმადაც პარტიიდან გარიცხვის უპირატესობა მუშებს უნდა მინიჭებოდათ. პირველ რიგში ისინი უნდა გაერიცხათ, მერე — მოსამსახურეები და ინჟინრები, სულ ბოლოს კი — ებრაელები. პრაქტიკულად ათი მუშის გარიცხვის შემდეგ შეიძლებოდა საშუალოდ ორი ინჟინრისა და ნახევარი ებრაელის გარიცხვა.

კანდიდატი ებრაელი არ იყო, ამიტომ კითხვები არც ისე ძნელი აღმოჩნდა — პარტიის საფუძვლების ცოდნას არკვევდნენ.

კანდიდატმა იოლად გასცა პასუხი ყველა კითხვას, რადგან წინადღით გადაიბულბულა თანამედროვე დემოკრატიული პრესა.

შინ ახალგამომცხვარი უპარტიო გახარებული მიძუნძულებდა. დღეს მათ ოჯახში ნამდვილი ზეიმი იქნება! ახლა მათ, ბოლოსდაბოლოს, მიამაგრებენ უპარტიოებისათვის გამოყოფილ მაღაზიას, ბიჭებს კი კომუნისტური სკოლიდან კარგ სკოლაში გადაიყვანენ.

მაგრამ, რაც უმთავრესია — სხვა რამ ახარებდა. იმ ხმაურში მან მოახერხა არ ჩაებარებინა თავისი პარტიული ბილეთი. ის პიჯაკის სარჩულქვეშ ედო; უფრო შორს უნდა შეინახოს! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ვინმემ დაინახოს. დემოკრატიის საუკუნეში ეს მეტისმეტად საშიში იყო. „ისე, ვინ იცის? ერთიც ვნახოთ და დრო შეიცვალოს?!" — იმედით და შიშით ფიქრობდა ის. და გულთან სითბო იგრძნო.

თარგმნა
**ჯუმბერ თითმერიამ**

### „სათადარიგო აეროდრომები" ნომენკლატურისათვის

**საბჭოთა** კავშირის ფინანსთა მინისტრი ვ. [illegible] მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — „საქართველოს" რედ.) სათავეში უდგას კონსორციუმს „საქმიანი სამყარო".

გასაკვირი ამბავია: იმ დროს, როცა ფინანსთა სამინისტროს ვერაფერი გაუწყვია ქვეყანაში მიმდინარე მწვავე ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ, კონსორციუმი დიდი წარმატებით უვლის გვერდს კომერციული საქმიანობის გზაზე არსებულ ყველა ბიუროკრატიულ წინაღობას და ერთობ ჰყვავის კიდეც.

და კიდევ ერთი უცნაურობა: თუ დასავლეთში ეგზომ მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკისა და კომერციული ფირმის მსგავსი კავშირის მხილებას უზარმაზარი სკანდალი და ჩინოვნიკის დაუყოვნებლივი გადადგომა მოჰყვება ხოლმე, ჩვენი უზენაესი საბჭოს დეპუტატები, როგორც ჩანს, ამ ფაქტს, სრულიადაც არ მიიჩნევენ გაკიცხვის ღირსად.

ასე რომ, კონსორციუმს, განსხვავებით ჩვენი სახელმწიფოსაგან, აშკარაა, ფინანსური კრახი არ ემუქრება: ფინანსთა მინისტრი, თქმა არ უნდა, შეეცდება წესრიგში იქონიოს თავისი „სათადარიგო აეროდრომი".

გაზ. „მეგაპოლის — კონტინენტი", XII, 1990 წ.

# საქართველოს სახალხო ფრონტში

**18 თებერვალს** პოლიტგანათლების სახლში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა დარბაზისა და სამდივნოს წევრი ამირან დოლიძე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (საკრებულოების) არჩევნებზე ვრცლად ისაუბრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ლევან მესხმა. მან დაწვრილებით გააცნო სხდომის მონაწილეთ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ითვალისწინებენ კანდიდატების დასახელებასა და სიების წარდგენას საოლქო და საუბნო კომისიებში, სხვა პარტიებთან ერთად ბლოკში მონაწილეობასა და სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამაჩაბლოში შექმნილი, ფაქტიურად საომარი ვითარების პირობებში, გრძელდება არჩევნების ჩატარება. რაც შეეხება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, მიმდინარეობს მოლაპარაკება და ჯერ-ჯერობით გაურკვეველია მათი მონაწილეობა — არ მონაწილეობა არჩევნებში.

ზღვისპირეთის დაცვისადმი მიძღვნილი საბავშვო პლაკატების კონკურსის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საზოგადოება „აიეტის" თავმჯდომარემ ჰენრი კუპრაშვილმა. მან ასევე ისაუბრა იმ კატასტროფულ ვითარებაზე, რაც შექმნილია შავი ზღვის აუზში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრმა დეპუტატმა დავით არევაძემ ისაუბრა საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაზე, ენერგეტიკულ კრიზისზე და აღნიშნა, რომ უზენაესი საბჭოს ეკონომიკური კომისია მუშაობს კრიზისიდან თავის დაღწევის გზებზე და თუ სწორად იქნება გამოყენებული ჩვენს ხელთ არსებული ქვანახშირის, ნავთობის, დარიშხანისა და სხვა წიაღისეულის საბადოები, თუ გამოვიყენებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ევროპა-აზიის ქვეყნების სავაჭრო მიმოსვლისათვის და გასაქანს მივცემთ ნიჭიერი ადამიანების საინტერესო მოსაზრებებს — ჩვენ შევძლებთ ფეხზე დავაყენოთ ფაქტიურად გაჩანაგებული ეკონომიკა.

გაწეულ საქმიანობაზე ვრცელი ანგარიშით წარსდგა ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის" ხელმძღვანელი დავით ხომასურიძე. მან აღნიშნა, რომ „იმედი" თანახმაა შევიდეს ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში იმ პირობით, თუ მათ გამოიყენებენ არა შინაური უწესრიგობის ჩასაწყნარებლად, არამედ გარეშე ძალისაგან საქართველოს დასაცავად.

**დარბაზმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება შავნაბადაზე მომხდარ შემაძრწუნებელ ფაქტთან დაკავშირებით. აღშფოთება გამოთქვა ქართველ ახალგაზრდებზე საბჭოთა ჯარის შეიარაღებული თავდასხმის გამო. მიიჩნია, რომ ეს აქტი არის მორიგი დემონსტრირება საქართველოს შინაურ საქმეებში უცხო ძალის ჩარევისა.**

## მკითხველს!

**ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში „ცუდი მაგალითი გადამდებია", გაიპარა შეცდომები. პირველ სტრიქონში წერია: „საქართველოს დამოკიდებული კომპარტიის". სიტყვა „დამოკიდებულში" დაკარგულია „უ".**

**მე-7 სტრიქონში წერია: „პირფასი გაზეთის პირფასი რედაქტორი". ორივე „პირფასში" დაკარგულია „ძ".**

**ამ სამწუხარო დანაკარგებისათვის მკაცრად მიეთითა კორექტორს.**

**ბოდიშს ვუხდით ძვირფას კომპარტიას და ძვირფას ვლ. ალფენიძეს.**




ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში წარმოდგენილი ნახატების ავტორია რომან ქარქუსაშვილი.

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447
რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible] №17. ტელ.: 29-26-81.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში"
რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი